პანდემიის გამო ეკონომიკის ვარდნამ და შრომითი მიგრაციის შესაძლებლობების შეზღუდვამ ბევრი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ნეგატიური გავლენა იქონია.

ცხრილი 2. ემიგრანტებისა და იმიგრანტების სქესობრივი შემადგენლობა, %

ემიგრანტების სქესობრივი შემადგენლობა, %									
	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
მამაკაცი	57.5	41.5	58.5	58.2	55.3	55.9	56.7	56.0	59.5
ქალი	42.5	58.5	41.5	41.8	43.0	44.1	43.3	44.0	40.5
იმიგრანტების სქესობრივი შემადგენლობა, %									
მამაკაცი	61.9	60.1	59.6	61.3	60.2	60.7	59.8	59.1	57.9
ქალი	38.1	39.9	40.4	38.7	39.8	39.3	40.2	40.9	42.1




აგებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

2019 წლის მდგომარეობით, საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი 17.6%-ს შეადგენდა.¹ 2020 წელს უმუშევრობის დონე პანდემიით განპირობებული შეზღუდვების გამკაცრება-შერბილების პროპორციულად იცვლებოდა, 2021 წლის პირველ კვარტალში კი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.7 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 21.9 პროცენტი შეადგინა (დიაგრამა 5).

¹ <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevropa>

დიაგრამა 5. უმუშევრობის დონე საქართველოში, 2020 წლის კვარტლებისა და 2021 წლის პირველი კვარტლის მიხედვით, %




აგებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevropa>

2020 წელს საქართველოში საინტერესო პროცესები განვითარდა შრომით მიგრაციასთან მიმართებაში. მართალია, სტატისტიკა საქართველოდან საზღვარგარეთ მომუშავეთა შესახებ არ არსებობს, მაგრამ მათ რაოდენობაზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ფულადი გზავნილების მოცულობა და დინამიკა. საგულისხმო ფაქტია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2020 წელს, კოვიდ-პანდემიის მიუხედავად, **ფულადი გზავნილების მოცულობა 2019 წელთან შედარებით 8,8%-ით გაიზარდა და 1 მლრდ 886 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც საქართველოსთვის რეკორდული მაჩვენებელია¹** (დიაგრამა 6).

ზოგადად, ფულადი გზავნილების მატება განპირობებულია ან გამომგზავნთა რაოდენობის ზრდით, ან ფულადი გზავნილების საშუალო ოდენობის მატებით. კოვიდ-პანდემიის პირობებში ტერიტორიული გადაადგილების შეზღუდვისა და მიმღებ ქვეყნებში სამუშაო ადგილების შემცირების გამო, ნაკლებად სავარაუდოა, რომ 2020 წელს გაზრდილიყო საზღვარგარეთ

¹ <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

მყოფი ჩვენი თანამემამულე შრომითი მიგრანტების რაოდენობა. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველმა შრომითმა მიგრანტებმა გაზარდეს ფულადი გზავნილების საშუალო ოდენობა ან ფულადი გზავნილებისთვის უფრო მეტად მოხდა საბანკო სისტემის გამოყენება. საგულისხმოა ის ფაქ-



აგებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით.
<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

ტიც, რომ 2020 წელს 2019 წელთან შედარებით ფულადმა გზავნილებმა იმატა იმ ქვეყნებიდან, რომლებიც საქართველოდან წასული შრომითი მიგრანტებისთვის ძირითადი დანიშნულების ქვეყნებია (იტალია, უკრაინა, აშშ, აზერბაიჯანი, საბერძნეთი, გერმანია. იხილეთ ცხრილი 3). უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ქვეყნებში მომუშავე საქართველოს მოქალაქეების უმეტესობამ პანდემიის პირობებშიც შეინარჩუნა სამუშაო ადგილები და გაზარდა გადმორიცხული თანხების ოდენობა.

ცხრილი 3. ძირითადი ქვეყნები, საიდანაც 2020 წელს გაიზარდა ფულადი გზავნილები, ათასი აშშ დოლარი

ქვეყანა	2019	2020	მატება 2020 წელს
იტალია	239.173	297.615	58.442
უკრაინა	42.921	87.534	44.613
აშშ	178.412	218.360	39.948
აზერბაიჯანი	22.169	53.883	31.714
საბერძნეთი	192.545	219.141	26.596
გერმანია	49.806	74.154	24.348
თურქეთი	94.846	106.737	11.891
ირლანდია	9.611	14.645	5.034
კანადა	14.212	17.869	3.657
გაერთიანებული სამეფო	16.890	18.749	1.859

შედეგნილია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით.
<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

სანტერესოა ასევე იმ ქვეყნების ნუსხა, საიდანაც პანდემიის პერიოდში შემცირდა ფულადი გზავნილები საქართველოში. ეს ქვეყნები შემდეგია:

ცხრილი 4. ძირითადი ქვეყნები, საიდანაც 2020 წელს შემცირდა ფულადი გზავნილები, ათასი აშშ დოლარი

ქვეყანა	2019	2020	კლება 2020 წელს
რუსეთის ფედერაცია	428.887	363.915	-64.972
ყირგიზეთი	28.762	8.265	-20.497
ყაზახეთი	26.631	19.660	-6.971
ისრაელი	162.548	156.807	-5.741
პოლონეთი	31.491	27.633	-3.858
კვიპროსი	15.314	13.022	-2.292
ერაყი	8.760	6.948	-1.812
სომხეთი	13.269	11.783	-1.486

შედეგნილია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით.
<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

სამწუხაროდ, სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალა ამ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების მიგრაცია, არ არის ხელმისაწვდომი და ძნელია იმის მტკიცება, რომ ფულადი გზავნილები იქ მყოფი ქართველებისა თუ საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლების რაოდენობის კლების ხარჯზე შემცირდა, მაგრამ ფაქტია, რომ 2015 წლიდან მოყოლებული პერმანენტულად მცირდება რუსეთიდან გადმორიცხული ფულადი გზავნილები და იზრდება გზავნილები იტალიიდან, საბერძნეთიდან, აშშ-დან, ისრაელიდან და რიგი სხვა ქვეყნებიდან.

ტოპათეული ქვეყნები საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მიხედვით, 2012-2020 წლებში შემდეგია:

ცხრილი 5. ტოპქვეყნების ათეული საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მიხედვით, ათასი აშშ დოლარი

ქვეყანა	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
1 რუსეთი	747449	801428	709238	432688	394499	455284	457535	428887	363915
2 იტალია	102872	110184	121470	109078	121249	142932	170277	239173	297615
3 საბერძნეთი	159617	197970	204782	117751	124565	141223	159441	192545	219141
4 აშშ	74038	74855	82063	100037	127659	141936	191181	178412	218360
5 ისრაელი	15968	19733	23627	32879	60733	119094	28761	162548	156807
6 თურქეთი	29980	41736	64337	68945	87068	109359	105614	94846	106737
7 გერმანია	13215	17801	24218	26662	29853	33835	41370	49806	74154
8 უკრაინა	47421	45573	30801	20850	20808	26143	151062	42921	87534
9 ესპანეთი	27814	25372	28049	26772	30876	36338	41534	47303	47923
10 აზერბაიჯანი	10352	14964	17790	15507	14751	15643	16048	22169	53883

შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით.
<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

კოვიდპანდემიამ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც ეკონომიკური ვარდნის გამო მნიშვნელოვნად გააუარესა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რამაც შესაძლოა, ეპიდემიზაციის შემცირების კვალობაზე, კიდევ მეტად ასტიმულიროს დასაქმების მიზნით საზღვარგარეთ წასვლა. ვირუსის მუტაციისა და მასთან ბრძოლის ჯერ კიდევ შეზღუდული შესაძლებლობები არაპროგნოზირებადს ხდის პანდემიის დასრულების დროს. ამასთან, ყველა ხვდება, რომ საზღვრების ჩაკეტვა და გადაადგილების შეზღუდვები უსასრულოდ ვერ გაგრძელდება. შესაბამისად, შესამუშავებელია სტრატეგია, რომელიც გაითვალისწინებს როგორც პანდემიის რისკებს, ისე მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებსაც. ამ გამოწვევებზე რეაგირების ყველაზე ეფექტური გზაა მონესრიგებული, კარგად ორგანიზებული მიგრაცია, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს როგორც პანდემიასთან დაკავშირებულ საფრთხეებს, ისე არაკანონიერ, არაორგანიზებულ მიგრაციასთან დაკავშირებულ სოციალურ-ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ გამოწვევებსაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. COVID-19 and the State of Global Mobility in 2020. <https://publications.iom.int/system/files/pdf/covid-19-and-the-state-of-global.pdf>
2. COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში. ივნისი, 2020. გვ.40. ადაპტირებულია - სექტემბერი, 2020.
3. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებული სტატისტიკა მოქალაქეთა დაბრუნების შესახებ პანდემიის პერიოდში <https://mfa.gov.ge/MainNav/CoVID-19-sakitkhebi/CoVID-19-mfa-stats.aspx>
4. საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო. <https://gcaa.ge/-category/სიახლეები>
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მიგრაციის სტატისტიკა: https://www.geostat.ge/media/30434/0902_200320_GE.pdf; <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia>; უმუშევრობის სტატისტიკა: <https://www.geostat.ge/ka/modules/-categories/683/dasakmeba-umushevropa>
6. საქართველოს ეროვნული ბანკი. ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

Tsiuri Antadze
PhD in Economics

Giorgi Bunturi
Master of Migration Management

International Migration Processes in Georgia under the Conditions of the Covid-Pandemic (Abstract)

The changes in the field of international migration in Georgia because of the Covid-Pandemic in fact replicate the global trends and characteristics, although some national peculiarities have also emerged.

In Georgia, as well as in the rest of the world, in terms of change in migration policy, 2020 can be divided into 3 main stages:

1. January-May 2020 - gradual restriction of territorial mobility and closure of borders;
2. June-September 2020 - gradual opening of borders and mitigation of quarantine measures. Restrictions on domestic movement were lifted and international and domestic tourism were encouraged. Territorial mobility has increased dramatically in the country, accompanied by a lack of compliance with epidemiological regulations.
3. October-December 2020 - Complete "lockdown" in response to a new wave and mutation of the virus. The second wave of the covid-pandemic developed at this stage, with the spread of the disease and the number of deaths from the covid, was remarkably severe. Again, movements were restricted both at international borders and within the country. Many European countries have moved Georgia from an "epidemic" status to a "high-risk" country.
 - The impact of the pandemic was also reflected on Georgia's migration statistics. In particular, according to the National Statistics Office of Georgia, in 2020 the following main trends in the field of international migration were observed:
 - In 2020, for the first time in the last 30 years, a positive external migration balance was registered in Georgia. According to official statistics based on the UN methodological approach, the migration balance this year was +15,732 people.

- Due to the pandemic, many Georgian citizens returned to their homeland and many foreigners left the country. If, by 2020 the migration balance of Georgian citizens was sharply negative (on average in 2012-2019 - 22,633 people), by 2020 it became sharply positive and amounted to +20 021 people; While the sharply positive balance of foreign immigrants (average +14 711 people in 2012-2019) became negative in 2020 (-7 587 people).
- It is noteworthy that according to the National Bank of Georgia, in 2020, despite the pandemic, the volume of remittances increased by 8.8% compared to 2019 and amounted to 1 billion 886 million US dollars, which is a record for Georgia.
- The economic downturn due to the pandemic and the limitation of labor migration have had a negative impact on the economic situation of many families: increased unemployment (in the first quarter of 2021, compared to the same period last year, the unemployment rate increased by 3.7 percentage points to 21.9 percent); Household incomes decreased (in 2020, compared to 2019, the average monthly income of one household decreased by 6.4%, including income from hired labor by 5.6%, and from self-employment - by 10.7%. Also decreased in agriculture. Income from the sale of products and property). The absolute poverty rate (the share of the population below the absolute poverty line) will increase from 19.5% to 21.3% in 2020 compared to the previous year.
- Due to the reduction of epidemic restrictions, it is expected to increase emigration from Georgia for employment. Accordingly, intergovernmental cooperation in the field of temporary labor migration should be strengthened, as regulated, well-managed migration will minimize the challenges associated with illegal migration and increase the benefits of migration for both countries of origin and recipient countries.

ავთანდილ სულაბერიძე
*ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი*

ნინო გომელაური
*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის
ასოცირებული მკვლევარი*

ქეთევან ჭანიძე
*ეკონომიკის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

საქართველოს მოსახლეობის საზღვრისპირა მიგრაციის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პრობლემები (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე)

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოქმნილ დამოუკიდებელ ქვეყნებში არსებითად შეიცვალა მოსახლეობის მიგრაციის შინაარსი, ფორმა და მიმართულებები, რაც უწინარესად ამ ქვეყნებში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებთან ერთად სოციალურ-ეკონომიკურმა, ეთნიკურმა და დემოგრაფიულმა ფაქტორებმა განაპირობეს. დაირღვა ყოფილ მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებს შორის არსებული მოსახლეობის მიგრაციული ბალანსი, მოიშალა რესპუბლიკათაშორისი სეზონური მიგრაციები, ზოგიერთ ახლადწარმოქმნილ დამოუკიდებელ ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური, ურბანისტული და სატრანსპორტო პრობლემების შედეგად შემცირდა და პრაქტიკულად შეწყდა ქალაქთაშორისი და რაიონთაშორისი ცირკულარული მიგრაციები. „საქართველოში 1990 წლამდე მცირე და საშუალო ქალაქების განვითარებამ, სოფლად დასაქმების შემცირების ფონზე, „განაპირობა დასახლებათაშორისი ქანქარისებური მიგრაცია, რომლის მონაწილე მიგრანტთა რაოდენობამ 1988 წლისთვის 250 ათას კაცს მიაღწია, რომელ-

თავან 31.1%-ს ქალაქად, ხოლო 41.8%-ს ყველაზე პატარა ქალაქებში დასაქმებულებს შეადგენდნენ. კრიზისულ წლებში (1990 წლის შემდეგ) ქალაქად დასაქმების სფეროს შევიწროებისა და მიმოსვლის ხარჯების მეტისმეტი ზრდის გამო ქანქარისებური მიგრაციის ინტენსიურობა მინიმუმამდე შემცირდა. იყო პერიოდი, როცა იგი პრაქტიკულად შეწყდა. დიდი ნაწილი დასაქმდა თავისივე საცხოვრებელ პუნქტში და სოფლად გაჩენილი ჭარბმოსახლეობა გაიზარდა¹.

საქართველოში 1990-იანი წლების დასაწყისიდან განვითარებულ მაღალ ემიგრაციულ ნაკადებს ძირითადად სამი ფაქტორი განაპირობებდა: ერთი მხრივ, ადგილი ჰქონდა ეთნიკურ მიგრაციას, მეორე მხრივ, ეთნიკური კონფლიქტების შედეგად დაკარგული ტერიტორიებიდან დევნილთა დიდი მასის უცხოეთში ემიგრაცია და მესამე- ეკონომიკური კოლაფსი. მოსახლეობის მიგრაცია განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს ყველაზე შრომისუნარიან და რეპროდუქციულ ასაკში მყოფ მოსახლეობაში. მიგრაციასთან დაკავშირებით ქვეყანაში გარკვეული პარადოქსული ვითარება აღინიშნა. საქმე ისაა, რომ უარყოფითი წმინდა მიგრაციის ლოგიკის თანახმად, საქართველოში თავისი ადამიანისეული კაპიტალით სამუშაო ძალის შემცირებას უნდა გამოენჯია მათი ანაზღაურების მნიშვნელოვანი ზრდა, რაც არ მომხდარა. დღეისათვის საქართველოს მთლიან შიგა პროდუქტში შრომის ანაზღაურების წილი (24%) 1,7-ჯერ უფრო დაბალია, ვიდრე ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში (40%)².

ამდენად, დღემდე ქვეყნიდან მოსახლეობის ემიგრაციის მთავარ ფაქტორად საქართველოში არსებული უმუშევრობის

¹ ტუხაშვილი მ. თანამედროვე მიგრაციული ვითარება და მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის შესწავლის ამოცანები. კრებულში „მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში“. თბილისი, „ლევა“, 2003. გვ.9

² არჩვაძე ი. დემოგრაფიული ცვლილებების ასახვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებში (საქართველოსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე). თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის 75 და ჟურნალ „ეკონომისტის“ 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული. 2019. გვ.488

მაღალი დონე და საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი რჩება. სწორედ ამიტომ, საქართველოში დაუსაქმებელი მოსახლეობის ემიგრაცია ტრადიციულად არსებული ქვეყნის შიგატირკულარულ (ქანქარისებურ) და სეზონურ შრომით მიგრაციასთან ერთად უცხოეთში დასაქმების მიზნით გაურკვეველ ვადიანმა ემიგრაციამ ჩაანაცვლა, რომელიც რეგიონთაშორისი გარკვეული დიფერენციით აღინიშნება. მაგალითად, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, მათ შორის თბილისთან, აჭარაში მიგრაციის დაბალი დონეა, რასაც საკურორტო პოტენციალიდან მიღებულ შედარებით მაღალ შემოსავლებთან ერთად მეზობელ თურქეთში საზღვრისპირა და სეზონური მიგრაციის შესაძლებლობა განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ვარდნის მქონე მეზობელი ქვეყნებიდან თურქეთი აღმოჩნდა ერთადერთი, რომლის მეტ-ნაკლებად განვითარებულმა ეკონომიკამ არა მხოლოდ აჭარიდან, არამედ საქართველოს სხვა რეგიონებიდან სამუშაო ძალა მიიზიდა. შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიაში იგი გახდა მიგრანტთა მიზიდულობის ცენტრი¹. თურქეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული საზღვრის კვეთის მონაცემების თანახმად, საქართველო (გერმანიის შემდეგ) რიგით მეორე ქვეყანაა, რომლის მოქალაქეებიც თურქეთში ყველაზე ხშირად შედიან. 2016 წელს საქართველოს მოქალაქეებმა საქართველო-თურქეთის საზღვარი 2195727-ჯერ გადაკვეთეს თურქეთის მიმართულებით, ხოლო 2176867-ჯერ – საქართველოს მიმართულებით. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ მიგრაცია საქართველოსა და თურქეთს შორის, როგორც საზღვრისპირა მიგრაციისთვისაა დამახასიათებელი, ცირკულარობით გამოირჩევა და ორმხრივი ტრანზიტული მიგრაციის ხასიათსაც ატარებს².

საქართველოდან თურქეთში საზღვრისპირა და სეზონური მიგრაციის შესწავლის მიზნით, 2018 წლის აგვისტოში საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა ქალაქებში ხოფასა და რიზეში ჩატარებულ იქნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

¹ Sulaberidze A., Archvadze J., Sulaberidze V. Migration Trends and Migration Potential of Georgia's Population. Migration from the Newly Independent States. 25 Years After the Collapse of the USSR. Springer, 2020. p.133.

² http://www.goc.gov.tr/icerik3/entry---exit_915_1024_4744

დემოგრაფიის და სოციოლოგიის ინსტიტუტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ერთობლივი სოციოლოგიური გამოკვლევა. გამოკვლევის რეპრეზენტატიულობის მიზნით, სოციოლოგიური გამოკვლევებისთვის რესპონდენტთა რაოდენობა ექსპერტული შეფასებით განვსაზღვრეთ 700 რესპონდენტის რაოდენობით. ვარგისი აღმოჩნდა გამოკითხულთა 675 ანკეცა (96.4%). დამუშავდა გამოკითხულ ქალთა 360 (53.3%) და მამაკაცთა 315 (46.7%) ანკეცა. გამოკვლევა ჩატარდა გამოკითხვის შემთხვევითი მეთოდით და გამოყენებულ იქნა ჩალრმავებული ინტერვიუ. კვლევის ძირითადი საკითხები იყო: თურქეთში, როგორც საქართველოს საზღვრისპირა რეგიონში სამუშაოდ გადასვლის სიხშირე და ხანგრძლივობა, სამუშაოს პირობები, პრობლემები და ანაზღაურება, სამუშაოდ წასვლის მოტივაცია.

ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ თურქეთთან საზღვრისპირა მიგრაციას მნიშვნელოვანად განაპირობებს საქართველოს ცალკეული რაიონების თურქეთთან ტერიტორიული სიახლოვე და ზემოთ აღნიშნული საქართველოში დასაქმების დაბალი დონე. თავის მხრივ, საქართველოს სხვა რაიონებთან შედარებით, აჭარის ქალაქების, ადმინისტრაციული ცენტრების და სოფლების თურქეთის საზღვრისპირა ქალაქებთან და სოფლებთან სიახლოვე, სეზონურთან შედარებით, უპირატესად განსაზღვრავს ქანქარისებურ მიგრაციას. თუმცა აჭარის სეზონურ მიგრანტთა თავისებურებიდან გამომდინარე, შეიძლება მათი ნაწილი ქანქარისებულ მიგრანტებად მივიჩნიოთ, რამდენადაც ისინი ფაქტიურად ყოველდღიურად სამუშაოდ დადიან საქართველოდან თურქეთში სეზონურ სამუშაოზე. სეზონური მიგრანტები ზაფხულსა და შემოდგომაზე ძირითადად დასაქმებულნი არიან: ჩაის, თხილის და სუბტროპიკული ხილის პლანტაციებში, ხოლო ზამთარსა და გაზაფხულზე სამშენებლო, სასოფლო და სხვადასხვა სახის შემთხვევით სამუშაოებზე. მათგან განსხვავებით, თურქეთში მომუშავე საქართველოს მოქალაქეებიდან მრავლად არიან სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში პრაქტიკულად მუდმივად, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე დასაქმებული მიგრანტები, რომლებიც ყოველდღიურად დადიან თურქეთში.

რამდენადაც მიგრანტები დილიდან გვიან სალამომდე, ხშირად ზენორმატიული სამუშაო დროით მუშაობდნენ, გაგვიძნელდა რესპონდენტებთან კომუნიკაცია. ისინი ხშირად გამოკითხვაზე უარს ამბობდნენ თურქი დამსაქმებლის შიშით. როგორც გაირკვა, თურქი დამსაქმებლები ყოველთვის ეძებდნენ მიზეზს მიგრანტებისთვის (განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა მიმართ) გასამრჯელოს შესამცირებლად ან საერთოდ მათ დასათხოვნად. როგორც მიგრანტებმა აღნიშნეს, ანაზღაურების გარეშე დათხოვნის გამო არც თუ იშვიათად ხდება კონფლიქტები.

ცირკულარულ მიგრანტებად მივიჩნით ის პირებიც, რომლებიც გარკვეული პერიოდულობით (კვირაში და თვეში რამდენჯერმე) გადადიან თურქეთში. საქმე ისაა, რომ სავაჭრო ობიექტების მეპატრონეები (ხოფა, ქემალ ფაშა) მათთან მუდმივად დასაქმებულებს, გარკვეული დროით და პერიოდულობით ანდობენ თავის პროდუქციას საქართველოში რეალიზაციის მიზნით, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს თურქეთში მათი მიგრაციის სიხშირეს.

ცხრილი 1-ის მონაცემების თანახმად, გამოკითხულთა შორის უმეტესობა 35 წლის ასაკს გადაცილებული მიგრანტები წარმოადგენენ, თუმცა დემოგრაფიული თვალსაზრისით, დამაფიქრებელია 25 წლამდე ასაკის ქალთა მაღალი წილი. ამასთან, როგორც რესპონდენტთა საერთო რაოდენობაში, ისე მამაკაცთა შორის ყველაზე მაღალი წილით წარმოდგენილია 50 წელს გადაცილებული მამაკაცები, ხოლო საპირისპირო სქესთა შორის 40-45 წლის ასაკის ქალბატონები.

ცხრილი 1. გამოკითხულ მიგრანტთა ასაკობრივი სტრუქტურა, (%)

	25 წლამდე	25-29	30-34	35-39	40-44	45-49	50 და უფროსი ასაკის	სულ
ქალი	17.5	5.8	11.7	17.5	22.5	13.3	11.7	100
მამაკაცი	7.6	8.6	5.7	18.1	20.0	16.2	23.8	100
სულ	12.9	7.1	8.9	17.8	21.3	14.7	17.3	100

გამოკითხულ რესპონდენტთა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა მეტ-ნაკლებად ადეკვატურად ასახავს საქართველო(აჭარა)-თურქეთს შორის ცირკულარულ მიგრაციაში მონა-

ნილე მიგრანტების ანალოგიურ სტრუქტურას. შესაბამისად, გამოკვლევით მიღებული შედეგები შეიძლება განვაზოგადოთ გამოკვლევის გარეთ დარჩენილ სხვა მიგრანტებზე. აღსანიშნავია, რომ მიგრანტთა შორის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 25 წლამდე ასაკის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტ გოგონებს, ნაკლებადაა წარმოდგენილი ქალაქების ბათუმისა და ქობულეთის მოსახლეობა, რომელიც ადგილზე საკურორტო ბიზნესით არის დასაქმებული და სხვა რაიონების და სოფლების მოსახლეობასთან შედარებით მაღალი შემოსავლების გამო ნაკლებად მიგრირებს თურქეთში. 40 წელს გადაცილებული მიგრანტი მამაკაცების ჩაღმავებული გამოკითხვით აღმოჩნდა, რომ მიგრაციაში აჭარის მთიანი რაიონების: ხულოს და ქედის მოსახლეობასთან ერთად, ჩართულია გურიის სოფლების მოსახლეობაც, თუმცა ნაკლები წილით. ჩაღმავებული გამოკითხვის თანახმად 50 წელს მამაკაცთა მაღალ წილს მიგრანტთა საერთო რაოდენობაში ძირითადად განაპირობებს აჭარის და გურიის მთიანი სოფლებიდან ჩამოსული მიგრანტები, რომელთაც განაცხადეს, რომ შინამეურნეობიდან (ძირითადად მეცხოველეობიდან) მწირი შემოსავლები ვერ უზრუნველყოფს ოჯახის მოთხოვნილებას და ოჯახის რჩენის მიზნით იძულებულნი არიან სეზონზე ყოველდღიურად ან კვირაში რამდენჯერმე იარონ სამოგარზე თურქეთში.

25 წლამდე ასაკის მიგრანტებს (განსაკუთრებით გოგონებს) ძირითადად ქორწინებაში არმყოფი სტუდენტები შეადგენენ, ხოლო 25-დან 35 წლამდე ასაკობრივ კოჰორტას - დაოჯახებული და მცირე რაოდენობით დასაოჯახებელი მიგრანტები წარმოადგენენ. სტუდენტთა მიგრაციის ძირითადი პერიოდი ზაფხულია, კერძოდ ივლისი-აგვისტო, ამ თვეებზე თურქეთში გამგზავრების საშუალოდ ნახევარზე მეტი შემთხვევა მოდის. გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ სამუშაოდ წასვლის ყველაზე დიდი მოტივაცია ფინანსური დამოუკიდებლობა და სწავლის საფასურის გადასახდელი თანხის შეგროვებაა. გადანყვეტილებას იღებენ მშობლების, ოჯახის სხვა წევრების, მეგობრების ან ნათესავების ინფორმაციით, ხშირ შემთხვევაში მათ სამუშაოს შესრულებაში ეხმარებიან.

ემიგრანტთა შორის ყველაზე მაღალ წილს შეადგენენ 35-50 წლის ემიგრანტები, რომელთა შორის, გარდა 40-44 წლის ასა-

კობრივი კოჰორტისა, მამაკაცები ოდნავ სჭარბობენ ქალებს. ამ ასაკობრივი ჯგუფის ქალები ძირითადად დასაქმებულნი არიან სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში (ხოფა და ქემალ ფაშა) და ყოველდღიურად დადიან სამსახურში. მათი მიგრაციის სტატიდან (რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი) გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ თურქეთში პრაქტიკულად გააჩნიათ მუდმივი სამსახური. აღნიშნულს ადასტურებს ჩალრმავებული კითხვარით მიღებული პასუხებიც, რომლის თანახმად, ზოგიერთ მათგანს გარკვეული წლით იჯარით აქვს სავაჭრო ობიექტი აღებული, ზოგიერთი კი თავისი საქმიანობით დამსაქმებლის მხრიდან ნდობისა და კეთილგანწყობიდან გამომდინარე რამდენიმე წელია, ერთ ადგილზეა დასაქმებული.

ჩალრმავებული გამოკითხვის თანახმად, ამ ასაკობრივი ჯგუფის ქალები 50 წლის ასაკს გადაცილებულ ქალებთან ერთად, გარდა აჭარის მთისპირა (ხელვაჩაური, შუახევი) სოფლებისა, ქობულეთის და გურიის სოფლებიდან არიან წარმოდგენილნი. ამასთან, მათ ძირითად მიზანს შეადგენს თურქეთში გამოუმუშავებული შემოსავლით ოჯახის წევრების (შვილების, შვილიშვილების) ფინანსური დახმარება. რაც შეეხება ამავე ასაკის მამაკაცებს, მათი მიზანიც ანალოგიურია, თუმცა ქალებისგან განსხვავებით ძირითადად დასაქმებულნი არიან სოფლის მეურნეობის და მშენებლობის დარგებში და მათთან ერთად ეკონომიკის სხვადასხვა დარგების შემთხვევით სამუშაოებზე.

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს გამოკითხულ მიგრანტ მამაკაცთა თითქმის ნახევარი (46.7%) და ქალთა მესამედზე მეტი უმაღლესი განათლების მქონეა. შესაბამისად, თურქეთში დასაქმებულთაგან გამოკითხულ მიგრანტთა განათლების მიღწეული დონის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი (41.8%) და შთამბეჭდავია. როგორც ჩალრმავებული კითხვარის პასუხები მოწმობს, იგი უფრო მაღალი იქნებოდა, დაუმთავრებელი უმაღლესის მქონე მიგრანტებს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა რომ დაესრულებინათ. მათი პასუხებიდან გამომდინარე, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დასრულებას სწორედ ოჯახში არსებულმა სიდუხჭირემ და მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა შეუშალა ხელი. ასევე მაღალია პროფტექნიკური განათლების მქონე მიგრანტთა წილიც, რომ აღარაფერ ვთქვათ საშუალო განათლების მქონე გამოკითხულ მიგრანტებზე. აღნიშნული სამ-

ნუხაროა ერთი მხრივ, იმის გამო, რომ არსებულ საგანმანათლებლო პოტენციალს საქართველო ვერ იყენებს, მეორე მხრივ, მათ განათლებაზე სახელმწიფოს მიერ დახარჯული ფულადი სახსრები ამოღების ნაცვლად უკვალოდ იკარგება. ამ უკანასკნელში ვგულისხმობთ იმას, რომ მიგრანტთა განათლების პოტენციალს არც თურქეთი იყენებს, რამდენადაც მიგრანტები ძირითადად დასაქმებულნი არიან მათი კვალიფიკაციის და პროფესიის შეუსაბამო დაბალკვალიფიციურ სამუშაო ადგილებზე, რაც იწვევს მათ დეკვალიფიკაციას.

ჩალრმავებული ინტერვიუს გამოყენებით გაირკვა, რომ მიგრანტთა შორის თითქმის ყველა პროფესიაა წარმოდგენილი. ქალთაგან ყველაზე მეტად წარმოდგენილნი არიან მასწავლებლები და სამედიცინო დარგის დაბალი რანგის მუშაკები (ექთნები), ხოლო მამაკაცთაგან - სოფლის მეურნეობის და ტექნიკურ-საინჟინრო პროფესიის წარმომადგენლები, რომლებმაც 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაკარგეს ძირითადი სამსახური და დაბალ ანაზღაურებად დროებით, შემთხვევით სამუშაოზე მუშაობდნენ. მიგრანტთა შორის ძირითადი წარმომადგენლები იყვნენ როგორც აჭარის (ხულო, ქედა, შუახევი) რაიონების სოფლებიდან, ასევე, თუმცა მცირე რაოდენობით, დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონებიდან (გურია, სამეგრელო, იმერეთი), რომლებიც ძირითადად სეზონურ სამუშაოებზე (თხილის, ჩაის, ციტრუსების კრეფა, მშენებლობა და სხვა) იყვნენ დასაქმებული. ამასთან ქალები ძირითადად დასაქმებული არიან ვაჭრობის და მომსახურების ობიექტებზე, მათგან განსხვავებით მამაკაცთა დასაქმების ადგილები უფრო მრავალსექტორულია: სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და სხვა.

ცხრილი 2. გამოკითხულ მიგრანტთა განათლების დონე (%)

	უმალ- ლესი	დაუმ- თავრე ბელი უმალ- ლესი	პროფ- ტექნიკუ რი	საშუა- ლო	არა- სრუ- ლი საშუ- ალო	სულ
ქალი	37.5	10.0	15.8	32.5	4.2	100.0
მამაკაცი	46.7	9.5	21.0	22.9	0.0	100.0
სულ	41.8	9.8	18.2	28.0	2.2	100.0

მიგრანტთა ძირითადი პრობლემები გამომდინარეობს მათი დასაქმების პროფილიდან. ასე მაგალითად, რამდენადაც ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილე მიგრანტები, ძირითადად ქალბატონები, დასაქმებული არიან საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა ქალაქებში, ხოფასა და ქემალ ფაშაში, უმთავრესად ვაჭრობის და მომსახურების სფეროში, მათი ძირითადი პრობლემა ყოველდღიური მგზავრობა 31.1% (განსაკუთრებით ქალებში 40.7%) და საბაჟოსთან ურთიერთობაა - 3,9% (განსაკუთრებით ქალებში- 9.3%).

მათგან განსხვავებით, ქალაქ რიზეში დასაქმებულ სეზონურ მიგრანტთა პრობლემები უფრო მეტი და მწვავეა. ისინი გამოიხატება სამუშაო დღის ხანგრძლივობაში (ზეგანაკვეთური მუშაობა) – 26.4%, მძიმე და მავნე სამუშაოს შესრულებაში - 14.5%, საბინაო პრობლემებსა და დამქირავებლებთან რთულ ურთიერთობებში - 11%, განსაკუთრებით მამაკაცთა შორის - 16%. სქესთა შორის განსხვავებული პრობლემები წარმოდგენილია ცხრილში 3.

ცხრილში 3. მიგრანტთა ძირითადი პრობლემები სქესის მიხედვით (%)

	სამუშაო დღის ხანგრძლივობა (ზეგანაკვეთური მუშაობა)	მძიმე და მავნე სამუშაო პირობები	საბინაო პირობები	დამქირავებელთან რთული ურთიერთობები	მგზავრობის პრობლემები	გარემოს პირობები	საბაჟო პრობლემები	ლარის გაუფასურების გამო	სულ
ქალი	31.4	6.6	3.5	3.5	40.7	4.9	9.3	0.0	100.0
მამაკაცი	23.0	19.9	12.4	16.0	24.5	3.0	0.3	0.9	100.0
სულ	26.4	14.5	8.8	11.0	31.1	3.8	3.9	0.5	100.0

აღნიშნული პრობლემები განსაკუთრებით გამოკვეთილია თურქეთში სამუშაოდ წასვლის სიხშირის შესაბამისად. ცხრილი 4-დან ნათლად ჩანს, რომ საზღვრისპირა მიგრაციაში მონაწილეთა შორის ნახევარზე მეტს, 52%-ს (განსაკუთრებით ვაჭ-

რობის ობიექტებში დასაქმებული ქალების 64.2%-ს) უხდება დილით და საღამოს მგზავრობა, ხოლო მათ ნაწილს (10.2%)-კვირაში რამდენჯერმე. თურქეთში სამუშაოდ სიარულის სიხშირის შესაბამისად შეიძლება ვიმსჯელოთ ქანქარისებურ და სეზონურ მიგრაციაში მონაწილე მიგრანტთა თანაფარდობაზეც. კერძოდ, მიგრაციაში მონაწილეთაგან ყოველდღიურად ან კვირაში რამდენჯერმე თურქეთში გადამსვლელებს წარმოადგენენ ქანქარისებურ მიგრაციაში მონაწილენი, რომელთა რაოდენობა გამოკითხულთა შორის ნახევარზე მეტია (62.2%), ხოლო სეზონურ მიგრანტთა რაოდენობა უფრო ნაკლებია –37.8%.

ცხრილში 4. მიგრანტთა თურქეთში სიარულის სიხშირე სქესობრივ ჭრილში (%)

	ყოველდღე (დილით ჩამოდივარ, საღამოს გბრუნდები)	კვირაში რამდენჯერმე	თვეში რამდენჯერმე	ვმუშაობ სეზონურად	სულ
ქალი	64.2	10.8	7.5	17.5	100
მამაკაცი	38.1	9.5	7.6	44.8	100
სულ	52.0	10.2	7.6	30.2	100

გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (56%) 5 წელზე მეტია თურქეთში მუშაობს (მათ შორის, მამაკაცები – 66.6%), თუმცა არანაკლებია მიგრანტთა „ახალი ტალღის“ წილი, რომლებმაც თურქეთში ბოლო ხუთ წელიწადში (1-დან 5 წლამდე – 31%) დაიწყეს „საქმიანობა“. რაც შეეხება თურქეთში 3 წელზე ნაკლები ხნით დასაქმებულებს, ამ მხრივ მამაკაცები (88.5%) მნიშვნელოვნად – 22%-ით აღემატებიან ქალებს.

თურქეთში დასაქმებულ მიგრანტთაგან განსხვავებული სურათია სქესთა შორის. მაგალითად, თუ ვაჭრობის მიზნით გადასულთა რაოდენობაში დიდი სხვაობა არ არის (ქალები-7.5%, მამაკაცები – 9.5%), მნიშვნელოვანი სხვაობაა ჩაის საკრეფად ნასვლის მიზნით, სადაც ძირითადად მამაკაცები არიან წარმოდგენილნი 16.2% (ქალები 0.8%), ანალოგიურია ჩაის გარდა სოფლის მეურნეობის სხვა სფეროში (ციტრუსის და თხილის კრეფა) დასაქმებულთა შორის, სადაც მამაკაცები (31.4%)

27.2%-ით აღემატებიან ქალთა რაოდენობას. ამ ფონზე სრულიად განსხვავებული სიტუაციაა ეკონომიკის სხვა სფეროში (ვაჭრობა, ბინაზე მომსახურება, ძიძა) დასაქმებულთა შორის, სადაც ქალთა წილი (85%) მამაკაცთა წილს 50.7%-ით აღემატება და ჩაღრმავებული კითხვარის თანახმად ხშირია როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა დამცირების მაგალითები და გარკვეულწილად შეინიშნება ქალთა შევიწროებისა და ტრეფიკინგის ნიშნებიც.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მიგრაციას თურქეთში ბევრად განსაზღვრავს ოჯახის დასაქმებულ წევრთა რაოდენობა. კერძოდ, ოჯახში დასაქმებულთა რაოდენობის პროპორციულად მცირდება მიგრაციაში მონაწილეთა რაოდენობა. მიგრანტთა 2 წევრიანი ოჯახების წევრთაგან (იმ წევრთა რაოდენობის მიხედვით, რომლებიც იღებენ ფულად ან ნატურალურ შემოსავალს ნებისმიერი დასაქმებიდან) დასაქმებულია 46.7%, განსაკუთრებით მაღალია იგი მამაკაცთა 2 წევრიან ოჯახებში (57.1%), მაშინ როცა მიგრანტთა 4 და 5-წევრიან ოჯახებში, შესაბამისად მხოლოდ 5.8 და 0.4%-ია დასაქმებული. საინტერესოა, რომ მარტოხელათა რაოდენობამ დასაქმებულ მიგრანტთა საერთო რაოდენობაში 20.9% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მიგრანტთა ოჯახის წევრები, როგორც წესი, არ არიან სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულნი და მათი შემოსავალი ძირითადად შინამეურნეობაზე (პირადი დამხმარე მეურნეობა, მცირე ბიზნესი) და შემთხვევით სამუშაოზე დამოკიდებული. სწორედ ეს მომენტი აიძულებს ოჯახის წევრებს შრომით მიგრაციას, რაც თურქეთთან სიახლოვის გამო სეზონური და ქანქარისებური სახით ხორციელდება.

საინტერესოა, რომ თურქეთში მომუშავე მიგრანტთა შორის უმეტესობის ოჯახები (არასრულწლოვანთა ჩათვლით) 4 წევრისგან შედგება (38.2%), 5 წევრისგან ოდნავ ნაკლები 31.6%, ხოლო 5 და მეტი წევრისგან შემდგარი ოჯახი 10.7%-ია. ამ ფონზე მცირე წილითაა წარმოდგენილი 3 და ნაკლებ წევრიანი ოჯახები, განსაკუთრებით მარტოხელები 0.9%. აღსანიშნავია, რომ მიგრანტ მამაკაცთა საერთო რაოდენობაში, 4 და 5-წევრიანი ოჯახებიდან მიგრანტ მამაკაცთა წილი აღემატება ქალთა ანალოგიურ მაჩვენებელს, თუმცა საპირისპირო ვითარებაა 5 და მეტწევრიანი ოჯახებიდან მიგრანტთა შორის, სა-

დაც 25.8% ქალია და მათი წილი 15.3%-ით აღემატება ასეთი ოჯახებიდან მიგრაციაში მყოფი მამაკაცების წილს.

მძიმე და რთულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ ოჯახის წევრთა მიგრაციას არსებითად განაპირობებს მათი დასაქმების და შემოსავლების დონე. ქვემოთ მოტანილი კომბინირებული ცხრილი 5 წარმოდგენას გვაძლევს ოჯახში დასაქმებულ წევრთა რაოდენობაზე ოჯახის წევრთა რაოდენობის შესაბამისად.

ცხრილი 5. მიგრანტთა ოჯახის დასაქმებულ წევრთა განაწილება ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით (%)

ოჯახში წევრთა რაოდენობა	ოჯახის დასაქმებულ ყველა იმ წევრთა რაოდენობა, რომლებიც იღებენ ფულად ან ნატურალურ შემოსავალს ნებისმიერი დასაქმებიდან						
	1 წევრი	2 წევრი	3 წევრი	4 წევრი	5 წევრი	არ მიუ-თითა	სულ
მარტოხელა	50.0	0.0	0.0	0.0	0.0	50.0	100
2 წევრისგან	60.0	40.0	0.0	0.0	0.0	0.0	100
3 წევრისგან	73.7	21.1	0.0	0.0	0.0	5.3	100
4 წევრისგან	19.8	75.6	2.3	0.0	0.0	2.3	100
5 წევრისგან	7.0	31.0	45.1	9.9	0.0	7.0	100
5 და მეტი წევრი	16.7	28.6	26.2	14.3	2.4	11.9	100
სულ	20.9	46.7	20.0	5.8	0.4	6.2	100

ცხრილი 5 ადასტურებს, რომ მიგრანტთა ყველა ტიპის ოჯახებში ძირითადად 2 წევრია (46.7%) დასაქმებული, რომელიც 2-ჯერ და მეტად აღემატება ოჯახში ერთი და სამი წევრის დასაქმების მაჩვენებელს, რომ აღარაფერი ვთქვათ ოთხი და მეტი წევრის დასაქმებაზე.

აღსანიშნავია, რომ მიგრანტთა ოთხ და მეტწევრიან ოჯახებში დასაქმების სიხშირე მცირდება ოჯახის წევრთა რაოდენობის ზრდის პროპორციულად. მაგალითად, ოთხ წევრიან ოჯახში ძირითადად დასაქმებულია ორი წევრი (75.6%), ხუთ წევრიანში სამი (45.1%) და ორი (31%) წევრი. ამ ფონზე ხუთ და მეტ წევრიან ოჯახებში შედარებით მაღალი წილითაა წარმოდგენილი ორი (28.6%) და სამი (26.2%) დასაქმებული წევრი.

ცხრილი 6. ოჯახის მთლიანი შემოსავალი (ლარი) საშუალოდ თვეში ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით (%)

ოჯახში წევრთა რაოდენობა	ოჯახის მთლიანი შემოსავალი საშუალოდ თვეში (ლარი)						სულ
	300 ლარამდე	301-500 ლარი	501-1000 ლარი	1001-1500 ლარი	1501-2000 ლარი	2000 ლარზე მეტი	
მარტონელა	0.0	0.0	100.0	0.0	0.0	0.0	100.0
2 წევრისგან	20.0	0.0	60.0	0.0	20.0	0.0	100.0
3 წევრისგან	0.0	15.8	52.6	31.6	0.0	0.0	100.0
4 წევრისგან	0.0	1.2	48.8	46.5	3.5	0.0	100.0
5 წევრისგან	1.4	7.0	18.3	54.9	16.9	1.4	100.0
5 და მეტი წევრი	9.5	19.0	21.4	21.4	23.8	4.8	100.0
სულ	2.7	7.6	35.1	41.8	11.6	1.3	100.0

როგორც ცნობილია მიგრაციის ინტენსივობას დასაქმების გარდა გარკვეულწილად განაპირობებს ოჯახის შემოსავლების დონე. ცხრილი 6-ში მოცემული გამოკვლევის მასალებიდან ირკვევა, რომ მიგრანტთა ოჯახების 41.8%-ის საშუალო თვიური შემოსავლები 1001-დან 1500, ხოლო 35.1%-ის 500-დან 1000 ლარს შორისაა. გამოდის, რომ მესამედზე მეტ მიგრანტთა ოჯახების შემოსავლები ოჯახის ერთ წევრზე გაანგარიშებით, არც თუ ისე მაღალია და დღეისათვის საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული 5 და მეტ წევრიანი ოჯახის ერთ სულზე, თვეში საშუალოდ 100-დან 400 ლარს შორის თამაშობს. მიუხედავად იმისა, რომ მიგრანტთა 5 და მეტ წევრიანი ოჯახების 23.8%-ის საშუალო თვიური შემოსავალი 1501-დან 2000 ლარამდეა, ხოლო 4.8%-ის 2000 ლარს აღემატება, საერთო ჯამში მიგრანტთა ოჯახების 88.5%-ის საშუალო თვიური შემოსავალი საშუალოდ 500-დან 2000 ლარამდე, ხოლო 1.3%-ის 2000 ლარს აჭარბებს და მხოლოდ მიგრანტთა ოჯახების 10.3%-ის შემოსავლებია დაბალ დონეზე 300-დან 500 ლარამდე. რაც შეეხება

საშუალო თვიური შემოსავლების დონეს ოჯახის წევრების რაოდენობის შესაბამისად, იგი ნათლად ჩანს ცხრილი 6-დან და მის კომენტარს აღარ გავაკეთებთ.

ბუნებრივია, ოჯახის შემოსავლები ბევრადაა დამოკიდებული ოჯახის წევრთა ხელფასზე. როგორც ცხრილი 7 გვიჩვენებს თურქეთში დასაქმებულ მიგრანტთა საშუალო თვიური ანაზღაურება არც თუ ისე მაღალია და შეიძლება ითქვას, რომ გამოკვლევის თანახმად, სეზონურ და ქანქარისებურ მიგრანტთა ანაზღაურებაში დიდი სხვაობა არ აღინიშნება. მათი პასუხების შესაბამისად, მიგრანტთა უმრავლესობაში (64%), როგორც გენდერული, ისე განათლების ნიშნით, ორივე ფორმის შრომითი მიგრანტების საშუალო თვიური ანაზღაურება 500-დან 1000 ლარამდე მერყეობს, რაც ფაქტიურად საქართველოში დასაქმებულის საშუალო ხელფასის ტოლია.

ცხრილი 7. თურქეთში მიგრანტის საშუალო წლიური ანაზღაურება (%)

	300 ლარამდე	300-500 ლარი	501-1000 ლარი	1000 ლარზე მეტი	სულ
ქალი	7.5	31.7	58.3	2.5	100.0
მამაკაცი	0.0	21.0	70.5	8.6	100.0
სულ	4.0	26.7	64.0	5.3	100.0

რაც შეეხება 1000 ლარის ზემოთ საშუალო წლიური ხელფასის მქონე მიგრანტთა წილს, მიგრაციის პირობებში იგი არც თუ ისე დაბალია და როგორც ჩალრმავებულმა გამოკითხვამ გვიჩვენა, ხელფასის ასეთ რაოდენობას მხოლოდ მავნე და მძიმე სამუშაოზე დასაქმებულებს უნაზღაურებენ. მიუხედავად მაღალი ხელფასისა, მავნე და მძიმე სამუშაოზე დასაქმებულ მიგრანტთა წილი მაღალ მაჩვენებლად მიგვაჩნია.

გამოკითხულ მიგრანტთა 17.8% თვლის, რომ მეზობელ ქვეყანაში მიღებული ანაზღაურება სრულად შეესაბამება მათ მიერ განეულ შრომით დანახარჯებს, დანარჩენები თვლიან, რომ გასამრჯელო ნაკლებია მათ მიერ განეულ შრომით დანახარჯებზე, ამასთან 25.8% თვლის, რომ მიღებული გასამრჯელო აშკარად არ შეესაბამება შრომით დანახარჯებს. სავარაუდოდ,

აღნიშნული მაჩვენებელი შესაძლებელია შეიცავდეს ტრეფიკინგის ნიშნებს.

ცხრილი 8. საქართველოში სამუშაოს შეთავაზებისას ხელფასის საშუალო რაოდენობა

	300 ლარამდე	300-500 ლარი	501-1000 ლარი	1000 ლარზე მეტი	სულ
ქალი	3.3	19.2	64.2	13.3	100.0
მამაკაცი	0.0	19.0	61.9	19.0	100.0
სულ	1.8	19.1	63.1	16.0	100.0

კითხვაზე – საქართველოში სამუშაოს შეთავაზებისას საშუალო ხელფასის რა რაოდენობაზე დათანხმდებოდით? – მიგრანტთა 63.1% თანახმაა საქართველოში მუშაობაზე, თუ მისი ხელფასი თურქეთში გამოიმუშავებული საშუალო ხელფასის (501-დან 1000 ლარამდე) ადექვატური იქნება. 7.6%-ით ნაკლებია იმ მიგრანტთა წილი ვინც საქართველოში თურქეთში მიღებულ ადექვატურ საშუალო ხელფასს (300-დან 500-ლარამდე) დათანხმდება. ამ ფონზე, თურქეთში 1000 ლარზე მეტი ხელფასის მქონეთა წილს (5,3%) 3-ჯერ აღმატება იმ მიგრანტთა წილი, ვინც საქართველოში ამავე რაოდენობის ხელფასზე იმუშავებდა (ცხრილი 8).

საყურადღებოა, რომ საერთო ჯამში, რესპონდენტთა თითქმის 2/3 უარს ამბობს თურქეთში შრომით საქმიანობაზე სამშობლოში შრომის ანაზღაურების 500-დან 1000 ლარამდე მიღების შესაძლებლობის შემთხვევაში. ეს საქართველოში საშუალო ხელფასის 44-დან 90 პროცენტამდეა, მაშინ როცა თურქეთში სამუშაოდ გადასულ რესპონდენტთა ოჯახების საშუალო თვიური შემოსავალი დაახლოებით 875 ლარია, რაც საქართველოს საშუალო შინამეურნეობის თვიური ფულადი შემოსავლის მხოლოდ 70%-ია.

ამდენად, გამოკვლევამ დაადასტურა, რომ შრომის ანაზღაურების დონე თურქეთში ფაქტობრივად საქართველოში არსებული შრომითი ანაზღაურების ტოლი ან მასზე დაბალია. ეს მეტყველებს იმაზე, რომ სეზონურ და ცირკულარულ მიგრანტებს თურქეთი იზიდავს არა იმდენად შრომის მაღალი ანაზღა-

ურებით, არამედ დასაქმებით – საკუთარ სამშობლოში სამუშაო ადგილების სიმცირის და არარსებობის გამო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, აჭარაში საკურორტო მომსახურების მაღალ შემოსავლებთან ერთად, სწორედ თურქეთში საზღვრისპირა და სეზონური მიგრაციის შედეგია აჭარიდან უცხოეთში ემიგრაციის ინტენსივობის დაბალი დონე, რომელმაც საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემებით ყველაზე ნაკლები 11,3 პრომილე (0,1%) შეადგინა [წულაძე გ., სულაბერიძე ა. 2016:58].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არჩვაძე ი. (2019). დემოგრაფიული ცვლილებების ასახვა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებში (საქართველოსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე). თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის 75 და ჟურნალ „ეკონომისტის“ 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალათა კრებული. გვ. 488
2. ტუხაშვილი მ. (2003). თანამედროვე მიგრაციული ვითარება და მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის შესწავლის ამოცანები. კრებულში „მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა საქართველოში“. თბ., „ლევა“. გვ. 5-11.
3. წულაძე გ., სულაბერიძე ა. (2016) საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებანი. თბილისი.
4. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის და შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018 წლის ერთობლივი სოციოლოგიური კვლევის „აჭარიდან თურქეთში სამუშაო ძალის საზღვრისპირა, ქანქარისებური და სეზონური მიგრაცია“ მასალები.
5. Sulaberidze a., Archvadze J., Suaberidze V. (2020). Migration Trends and Migration Potential of Georgia’s Population. Migration from the Newly Independent States. 25 Years After the Collapse of the USSR. Springer, p.127-168
6. http://www.goc.gov.tr/icerik3/entry---exit_915_1024_4744

Avtandil Sulaberidze

*Doctor of Economic Sciences, Professor
Director of the Institute of Demography and Sociology
Ilia State University*

Nino Gomelauri

*Associate researcher of the Institute of Demography and Sociology
Ilia State University*

Ketevan Tchanidze

*Doctor of Economics,
Batumi Shota Rustaveli State University*

Socio-Economic and Demographic Problems of Cross-Border Migration in Georgia (Case of the Autonomous Republic of Adjara)

(Abstract)

The purpose of the article is to analyze the results of a joint sociological study of Ilia State University, Institute of Demography and Sociology and Batumi Shota Rustaveli State University "migration of the workforce from Adjara to Turkey".

Among the respondents, the majority are the migrants over the age of 35. Nearly half of the interviewed men (46.7%) and more than third of the women possess higher education. Unfortunately, Georgia cannot utilize their educational potential. The migrants taking part in the pendulum migration, essentially women are employed in the cities located on the Georgian-Turkish border, Khopha and Kemal Pasha, mainly in the fields of commerce and service. The primary problems of these people are traveling - 31.1% and relations with the customs officials – 3.9%. As regards the seasonal migrants, their problems are expressed in the length of the working day (overtime work) – 26.4%, doing hard and harmful jobs – 14.5%, housing issues, and the complicated relationships with their employees – 11.0%, particularly among the men – 16.0%. It becomes clear from the research material that 41.8% of the migrants' families receive average monthly income from 1001 to 1500 GEL, whereas 35.1% have the income in the range of 500-1000 GEL. Among the majority of the migrants (64.0%), from the perspective of gender and education, the average monthly income of both kinds of the labor

migrants range from 500 to 1000 GEL, which is actually equal to the average income of the employed individual in Georgia. Only those people who work at hard and harmful jobs receive the income above 1000 GEL. Despite the high salary, we think that the share of the migrants who work at hard and harmful jobs is quite high. 63.1% of the migrants are willing to get a job in Georgia, in case their income is adequate to the average income they earn in Turkey (from 501 to 1000 GEL).

The research has confirmed that the level of income in Turkey is actually equal or lower than the existing income in Georgia. This speaks about the fact that Turkey attracts the seasonal and circular migration not so much by its high labor income as by the chance of employment – because of the scarcity and non-existence of jobs in their homeland.

Keywords: *migration, labor migration, seasonal migration, pendulum migration.*

კოვიდ-პანდემია და საერთაშორისო მიგრაციული პროცესები

Covid-19-ის პანდემიამ და მასთან დაკავშირებულმა გლობალურმა კრიზისმა განსაკუთრებული ზეგავლენა საერთაშორისო მიგრაციაზე იქონია, მოახდინა რა მისი ხასიათისა და ნაკადების ტრანსფორმაცია: პანდემიამ ფაქტობრივად შეაჩერა საერთაშორისო ტურიზმი და საქმიანი ვიზიტები, არსებითად შეამცირა შრომითი მიგრაცია, ბევრმა ქვეყანამ შეწყვიტა ვიზების გაცემა საერთაშორისო სტუდენტებისთვის, ოჯახის გაერთიანებისა თუ სამედიცინო საჭიროებებისთვისაც კი. შედეგად, მინიმუმამდე შემცირდა საერთაშორისო გადაადგილებები კანონიერი საფუძვლით. ამის პარალელურად, მნიშვნელოვნად გაიზარდა შიდა რეგიონული გადაადგილება და ევროპისა და აშშ-ს მიმართულებით არალეგალური მიგრაციული ნაკადები.¹

პანდემიის ზეგავლენა მიგრაციასთან მიმართებაში იმდენად დიდი და მრავალასპექტიანია, რომ გაჩნდა კითხვები: „ეს არის მიგრაციის ერის დასასრული, თუ დროებითი წინაღობა ადამიანთა ტერიტორიული გადაადგილების პროცესში? პანდემია რა გავლენას იქონიებს მიგრაციულ ნაკადებზე? როგორ შეიცვლება მიგრაციის მახასიათებლები და მიგრაციული პოლიტიკა ქვეყნებისა თუ საერთაშორისო დონეზე?“

ამ კითხვებზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი ჯერ კიდევ არ არსებობს, თუმცა განვლილი 1,5 წლის მანძილზე მომხდარი ცვლილებების ანალიზისა და მიგრაციული პროცესების მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესაძლებელია გარკვეული მოლოდინებისა და შეფასებების დაშვება მიგრაციის მომავალთან და მისი მახასიათებლების ცვლილებასთან დაკავშირებით.

¹ IOM. World Migration Report 2020. <https://worldmigrationreport.iom.int/wmr-2020-interactive/>

➤ დასრულდა მიგრაციის ეპოქა?

პანდემიამ მკვეთრად შეცვალა ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული მიგრაციული ტენდენციები, მათი ხასიათი და შედეგები. პანდემიის საწყის ეტაპზე, ქვეყნების საზღვრების ჩაკეტვის ფონზე, მიგრაციის ინტენსივობა მინიმუმამდე შემცირდა და უმეტესწილად სამშობლოში ან ჩვეული ბინადრობის ქვეყანაში მიგრანტების დაბრუნებით შემოიფარგლებოდა. მომდევნო პერიოდში პერიოდულად, ეპიზოდურად რბილდებოდა შეზღუდვები ტერიტორიულ გადაადგილებაზე, თუმცა საერთაშორისო მიგრაცია ფაქტობრივად „დაპაუზებულ“ მდგომარეობაში რჩებოდა. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, 2019 წლის ივლისიდან 2020 წლის ივლისამდე პერიოდში საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობა დაახლოებით 2 მლნ ადამიანით (27%-ით) შემცირდა¹, თუმცა მიგრაციული პროცესები მაინც არ შეჩერებულა: ეკონომიკის მთელ რიგ სექტორებში უცხოურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის, ასევე რიგ ქვეყნებში პოლიტიკური თუ ჰუმანიტარული კრიზისის გამო, ადამიანთა გადაადგილება მაინც ხდებოდა და ხდება.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გაეროს მონაცემებით, 2020 წლის განმავლობაში საერთაშორისო მიგრანტების რაოდენობამ 280,6 მლნ შეადგინა და 2019 წლის მონაცემებს 8 მილიონით გადააჭარბა.² ამ ციფრების თანახმად, 2020 წელს, პანდემიის პირობებშიც გაიზარდა მოსახლეობის საერთაშორისო ტერიტორიული მობილობა, რაც ეწინააღმდეგება ექსპერტთა შეფასებებსა და მოლოდინებს, თუმცა რეგიონების მიხედვით მიგრაციული ნაკადების ანალიზი გარკვეულწილად იძლევა პასუხს ამ შეუსაბამობაზე: გაეროს მონაცემებით, 2020 წელს საერთაშორისო **მიგრანტების თითქმის ნახევარი მისი წარმოშობის რეგიონში გადაადგილდა**. შიდა რეგიონული მიგრაციის ნილით პირველ ადგილზეა ევროპა (მიგრანტების 70%), მეორე-

¹ International Migration 2020 Highlights.
<https://reliefweb.int/report/world/international-migration-2020-highlights-enruzh#:~:text=In%202020%2C%20nearly%20177%20million,upper%2Dmiddle%2Dincome%20country.>

² წყარო: https://migrationdataportal.org/data?i=stock_abs_&t=2020

ზე - ჩრდილოეთ ამერიკა (68%). ამ ორმა რეგიონმა 2020 წლის განმავლობაში მიიღო საერთაშორისო მიგრანტების 52% (146 მლნ მიგრანტი). წარმოშობის რეგიონს გარეთ მიგრაციის ინტენსივობა მაღალი იყო ცენტრალური და სამხრეთ აზიის რეგიონებში, სადაც საერთაშორისო მიგრანტების 78% სხვა რეგიონის ქვეყნებში გადაადგილდა, თუმცა ეს გადაადგილება ძირითადად ჩრდილოეთ აფრიკისა და დასავლეთ აზიის ქვეყნების მიმართულებით განხორციელდა.¹ ამასთან, IOM-ის მონაცემებით, 2020 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა არალეგალური მიგრაციული ნაკადები ევროპისა და აშშ-ს მიმართულებით.²

გარდა ამისა, როგორც ცნობილია, მიგრაციის შესახებ მონაცემები სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული მეთოდოლოგიით გროვდება, რაც ართულებს მიგრანტების ზუსტი რაოდენობის დადგენას. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის „მიგრაციის შესახებ გლობალური მონაცემების ანალიზის ცენტრი“ (IOM’s Global Migration Data Analysis Centre³) მიგრაციის მონაცემების გლობალური პორტალის (Migration data portal⁴) მეშვეობით თავს უყრის მონაცემებს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან და ცდილობს, რომ მაჩვენებლები იყოს შესადარისი, თუმცა ცდომილების ალბათობა მაინც დიდია.

მიგრაცია ზოგისთვის არჩევანის, ზოგისთვის კი სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია. თანამედროვე მსოფლიოში 70 მლნ-ზე მეტი იძულებით გადაადგილებული პირია, რომელთაგან 26 მლნ ლტოლვილია, 3,5 მლნ - თავშესაფრის მაძიებელი. მიგრანტების 75% შრომისუნარიანი ასაკის (20-64 წლის) ადამიანები არიან, რომლებიც საზღვარგარეთ ცდილობენ დასაქმებას. 2020 წლის საშუალო მაჩვენებლის მიხედვით, საერთაშორისო მიგრანტების 61% შრომითი მიგრანტია; მიგრანტებიდან 48,1% ქალია, 14,6% - 19 წელზე უმცროსი ასაკის, ხოლო 12,2% - 65 წელზე უფროსი ასაკის პირია.⁵

¹ https://migrationdataportal.org/data?i=stock_achange_&t=2020&m=1

² IOM. World Migration Report 2020. <https://worldmigrationreport.iom.int/wmr-2020-interactive/>

³ <https://gmdac.iom.int/>

⁴ https://migrationdataportal.org/?i=stock_abs_&t=2019&m=1

⁵ https://migrationdataportal.org/?i=stock_abs_&t=2019&m=1

როგორ შეიცვლება საერთაშორისო მიგრაციული ნაკადების ინტენსივობა და მიმართულებები, არსებითად იქნება დამოკიდებული პანდემიის მართვის შესაძლებლობებზე, რაც თავის მხრივ, რეგიონებისა და ქვეყნების მიგრაციულ პოლიტიკაზე იქონიებს გავლენას. აღსანიშნავია, რომ Covid-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნისა და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ვაქცინაციის პროცესის დაწყების მიუხედავად, ჯერ კიდევ რთულია ეპიდემიის დასრულების დროის პროგნოზირება და ბუნდოვანია მიგრაციის მომავალიც. შესაბამისად, შეუძლებელია ახალ პირობებში საერთაშორისო მიგრაციისა და მობილობის მოსალოდნელი ტენდენციების ზუსტი პროგნოზირება, თუმცა, მიგრაციის ეკონომიკური და ჰუმანიტარული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მაინც შეიძლება იმის მტკიცება, რომ ადამიანთა ტერიტორიული მობილობა მსოფლიოში კვლავ გაგრძელდება. შესაძლოა, მან ვეღარ იარსებოს 2020 წლამდე არსებული „მიგრაციის ეპოქისათვის“ დამახასიათებელი ტენდენციებითა და მახასიათებლებით, თუმცა რიგი ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური ფაქტორების გავლენით იგი კვლავ გაგრძელდება, ოღონდ შეცვლილი მახასიათებლებითა და ფორმით.

➤ ***როგორ შეიცვლება მიგრანტების მიერ მიგრაციის გადაწყვეტილების მიღების პროცესი?***

პანდემიამ შესაძლოა არა მარტო დროებით, არამედ ხანგრძლივად იქონიოს გავლენა ადამიანების მიგრაციულ განწყობასა და მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე. არსებობს მოლოდინი, რომ ადამიანების ნაწილი აღარ იქნება ორიენტირებული მიგრაციაზე, რამდენადაც მიგრაციის შედეგების გაურკვევლობის გამო, ისინი არ გარისკავენ დანაზოგებს, კარიერასა და სოციალურ სტატუსს. პანდემიის პერიოდში სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების ნაწილმა შეიძლება გადაიფიქროს ხელახალი ემიგრაცია, ანდა არსებული ბარიერების (კოვიდტესტირება, კარანტინი, საზღვარზე გადაადგილების გამკაცრება, მიგრაციის მიზეზებზე კონტროლის გამკაცრება და სხვა) გამო თავი შეიკავოს სტიქიური გადაადგილებისგან. ამის პარალელურად, წარმოშობის ქვეყნებში პანდემიის გამო ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გაუარესებამ

შესაძლოა მოსახლეობის ნაწილში გაზარდოს ემიგრაციული განწყობა, რაც ქმნის იმის წინაპირობებს, რომ გადაადგილებაზე შეზღუდვების შემცირების კვალობაზე (რაც ვაქცინაციის პროცესის მიმდინარეობასა და შედეგებზე დამოკიდებული), შესაძლოა უფრო მეტი ადამიანი ჩაერთოს მიგრაციულ პროცესებში. ამასთან, განვითარებული ქვეყნების მიგრაციულ პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებებმა ლეგალური, ორგანიზებული მიგრაციის შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით, შეიძლება ასევე ასტიმულიროს მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების მხრიდან მიგრაციაზე გადანაცვტილების მიღება, თუმცა, სავარაუდოდ, ლეგალური შრომითი მიგრაციის პროცესებში ჩართული ემიგრანტების რაოდენობა, არაორგანიზებული მიგრაციის ნაკადებთან შედარებით, მაინც ნაკლები იქნება.

➤ ***მიმღებ ქვეყნებში გაიზრდება ანტიემიგრაციული განწყობა?***

როგორც წესი, ეკონომიკური ვარდნა იმიგრაციის ქვეყნებში აძლიერებს ანტიემიგრაციულ განწყობებს იმ მითის საფუძველზე, რომ იმიგრანტები ადგილობრივებს ართმევენ სამუშაო ადგილებს. სინამდვილეში, შრომითი მიგრანტები იკავებენ იმ სამუშაო ადგილებს, სადაც, როგორც წესი, არ საქმდება ადგილობრივი მოსახლეობა. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში არსებობს სექტორები (მაგალითად, სოფლის მეურნეობა, მომსახურება, ვაჭრობა და სხვა), რომლებიც ძირითადად მიგრანტების სამუშაო ძალის გამოყენებას ეფუძნება. ამასთან, იმიგრანტებს საკმაოდ დიდი წვლილი შეაქვთ მიმღები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ზრდიან რა საერთო მოხმარებას პროდუქციასა და მომსახურებაზე. ამის მიუხედავად, პანდემიის პირობებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაფიქსირდა ანტიემიგრაციული, ქსენოფობიური და რასისტული განწყობების ზრდა.¹

¹ Chapman, A. 2020 Coronavirus travel bubble established in the Baltic as Australia and New Zealand ponder tourism plan. 7News, 16 May. Available from <https://7news.com.au/lifestyle/health-wellbeing/coronavirus-travel-bubble-established-in-baltic-as-australia-and-new-zealand-pondertourism-plan-c-1041453>

პანდემიის გამო მთელი რიგი შეზღუდვების შემოღების პირობებში, კიდევ უფრო იზრდება მიგრანტებისადმი აგრესიული დამოკიდებულების ალბათობა. შესაბამისად, იზრდება მოსახლეობის ინფორმირების საჭიროება იმიგრაციის საჭიროებასა და პოზიტიურ როლზე.

➤ **როგორ შეიცვლება შრომითი მიგრაციის შესაძლებლობები?**

პანდემიის პირობებში უმუშევრობა ყველა ქვეყანაში გაიზარდა. კომპანიების დიდ ნაწილს აღარ აქვს, ან არსებითად შეუმცირდა შემოსავალი და იძულებულნი არიან შეამცირონ მომუშავეთა რაოდენობა. აშშ-ში უმუშევრობა „დიდი დეპრესიის შემდეგ ყველაზე მაღალია“¹. საერთაშორისო სავალუტო ფონდი პროგნოზირებდა 2020 წელს ეკონომიკის ვარდნას მთელ მსოფლიოში². შესაბამისად, იზრდება უმუშევრობა, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს მოთხოვნის შემცირებას იმიგრანტების შრომაზე. კრიზისს გადარჩენილი ფირმები განიცდიან ზენოლას ადგილობრივი სამუშაო ძალისგან, რათა მათ სამუშაოზე არ მიიღონ მიგრანტები და სამუშაოზე აიყვანონ ადგილობრივი მომუშავეები, თუმცა მათი დიდი ნაწილი არ არის თანახმა - დასაქმდეს დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოზე, ან გაიაროს სწავლება ახალ სამუშაოზე დასაქმების მიზნით. შედეგად, ეკონომიკის რიგ სექტორებში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ჯერ კიდევ აუცილებელია უცხოური სამუშაო ძალის მოზიდვა. დიდი ალბათობით, განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების ტემპებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საჭიროების გათვალისწინებით, შრომითი მიგრაციის განმაპირობებელი ფაქტორები, სულ ცოტა საშუალოვადიან პერსპექტივაშიც, შე-

¹ Wolfers, J. 2020 The unemployment rate is probably around 13 percent. New York Times, 3 April. Available from www.nytimes.com/2020/04/03/upshot/coronavirus-jobless-rate-great-depression.html?searchResultPosition=2

² Gopinath, G. 2020 The great lockdown: Worst economic downturn since the Great Depression. IMFBlog, 14 April. Available from <https://blogs.imf.org/-/2020/04/14/the-great-lockdown-worst-economic-downturn-since-the-great-depression>

ნარჩუნდება. ეკონომიკური კრიზისის გაჭიანურებისა და უმუშევრობის ზრდის შემთხვევაში, სავარაუდოა უცხოურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შემცირება და მისი რეგულირების საჭიროების გაზრდა იმ მიმართულებით, რომ ქვეყანამ მიიღოს მხოლოდ მისთვის დეფიციტური სამუშაო ძალა.

მიგრანტები, როგორც წესი, მიმღებ ქვეყნებში ავსებენ ან დაბალი კვალიფიკაციის (სადაც არ საქმდება ადგილობრივი მოსახლეობა), ან განსაკუთრებით დეფიციტური მაღალი კვალიფიკაციის სამუშაო ადგილებს. მიმღები ქვეყნების მიგრაციული პოლიტიკა შრომითი მიგრანტების ამ ორი კატეგორიის მიმართ განსხვავებულია და ეს განსხვავება კიდევ უფრო გამოიკვეთა პანდემიის პირობებში. კერძოდ, მთელმა რიგმა განვითარებულმა ქვეყნებმა შეარბილეს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის ქვეყანაში შესვლის რეგულაციები და შეამცირეს არაკვალიფიციური სამუშაო ძალის დასაქმების პერიოდი. მაგალითად, სოფლის მეურნეობის სექტორში მოსავლის ასაღებად მოკლე დროით, მაგრამ დიდი რაოდენობით არაკვალიფიციური სამუშაო ძალაა საჭირო. შესაბამისად, აქცენტი გაკეთდება სეზონურ სამუშაოებზე მოკლევადიან (3 თვემდე ხანგრძლივობით) დასაქმებაზე, რომლის ვადის ამოწურვის შემდეგ, მიგრანტები უნდა დაბრუნდნენ სამშობლოში. ეს კი კარგად მართული, ორგანიზებული შრომითი მიგრაციის მეშვეობით არის შესაძლებელი. ***პანდემიამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის გაძლიერებას დროებითი ცირკულარული და სეზონური შრომითი მიგრაციის, ასევე მაღალკვალიფიციური კვალიფიკაციის სპეციალისტების დასაქმების წახალისების მიმართულებით.***

მიგრაციული მობილობის შეზღუდვის პარალელურად, ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში ფიქსირდება დროებითი შრომითი მიგრაციის პროგრამებისა და იმიგრაციული პუნქტების/ცენტრების სისტემის გავრცელება. მაგალითად, გერმანიამ შეზღუდვების პიკის დროს, 2020 წლის აპრილის თვეში მიიღო სეზონური იმიგრანტები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან (რუმინეთი, ბულგარეთი, უკრაინა, უნგრეთი) და მნიშვნელოვნად გააფართოვა თანამშრომლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან. რიგ ქვეყნებში კანადის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მსგავსად, მაღალკვალიფიციურ პროფესიულ

სამუშაო ძალაზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სულ უფრო მეტად გამოიყენება ე.წ. „იმიგრაციული პუნქტების სისტემა“, რაც გულისხმობს ქვეყნის შრომის ბაზრისათვის საჭირო უნარების მიხედვით სხვადასხვა ქვეყანაში მიგრანტების სელექციას და მოზიდვას. მაგალითად, ბრიტანეთი აპირებს გამოიყენოს სპეციალური ქულების სისტემა ქვეყანაში მიგრანტების დაშვებისას, რათა შეამციროს იმიგრაციის საერთო მაჩვენებლები და იმავდროულად ღია დატოვოს გაერთიანებული სამეფო „ყველაზე კაშკაშა და საუკეთესო ადამიანებისთვის მთელი მსოფლიოდან“¹. ბევრი ქვეყანა ინტერესდება „სინგაპურული ფიჭერსით“ (“Singapore Futures”), რომელიც გულისხმობს კეთილსასურველ კლიმატს მაღალკვალიფიციური მიგრანტებისთვის და მკაცრად კონტროლირებად გარემოს დროებითი არაკვალიფიციური მიგრანტებისთვის². გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ 2020 წლის თებერვალში მიღებული კანონით მნიშვნელოვნად გაამარტივა გერმანიაში კვალიფიციური პროფესიული სამუშაო ძალის იმიგრაციის პროცედურები.³ მსგავსი იმიგრაციული პოლიტიკა ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უმეტესობისთვის არის დამახასიათებელი.

➤ **როგორ შეიცვლება დემოგრაფიული ტენდენციები და რა გავლენას მოახდენს ტერიტორიულ მობილობაზე?**

არსებული სტატისტიკის თანახმად, COVID-19 განსაკუთრებით საშიშია ხანდაზმული და ავადმყოფი ადამიანებისთვის და ხელს უწყობს მათი სიკვდილიანობის ზრდას (2021 წლის 19 მაისის მდგომარეობით, აშშ-ში კოვიდის გამო გარდაცვლილთა

¹ Aranda, C.R. 2020 New UK migrant control system is Priti-good, but Trump’s is better. The Manila Times, 25 May. Available from www.manilatimes.net/2020/05/25/opinion/columnists/new-uk-migrantcontrol-system-is-priti-good-but-trumps-is-better/726999/

² Vertovec, S. 2020. Low-skilled migrants after Covid-19: Singapore futures? COMPAS Coronavirus and Mobility Forum, 21 April. Available from www.compas.ox.ac.uk/2020/low-skilled-migrants-after-covid19-singapore-futures/

³ Act on the Residence, Economic Activity and Integration of Foreigners in the Federal Territory. https://www.gesetze-im-internet.de/englisch_aufenthg/englisch_aufenthg.html#p0392

80% 65 წელზე უფროსი ასაკის იყო¹). ამ ტენდენციის შენარჩუნების პირობებში სავარაუდოა ასაკოვანი ადამიანების რაოდენობის შემცირება. ეს გავლენას იქონიებს დემოგრაფიული გადასვლის დინამიკაზე და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელზე. კერძოდ, ხანდაზმული და ავადმყოფი მოსახლეობის წილის შემცირების კვალობაზე, შემცირდება კმაყოფაზე მყოფი კატეგორიის რაოდენობა და მათ მოვლაზე დანახარჯები (ფინანსური, ადამიანური). იმავდროულად, მოსახლეობის იზოლაციის სიტუაციაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს შობადობის მატებას. შედეგად, სიკვდილიანობისა და შობადობის მატებამ შეიძლება შეცვალოს მოსახლეობის ზრდის დემოგრაფიული ფაქტორები და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესები ისე, რომ მან გავლენა იქონიოს ტერიტორიულ მობილობაზე, შეცვალოს ურბანიზაციისა და შიდა მიგრაციის მოდელები, რომლებიც პანდემიამდე იყო. ამას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ასევე მსოფლიოში დისტანციური მუშაობის შესაძლებლობების ნახტომისებური ზრდა.

➤ **დისტანციურად მუშაობისა და სწავლის შესაძლებლობების გაფართოება რა გავლენას მოახდენს მიგრაციულ პროცესებზე?**

პანდემიამ მნიშვნელოვნად დააჩქარა ციფრული ტრანსფორმაცია და მნიშვნელოვნად გაზარდა დისტანციური მუშაობის შესაძლებლობები. ამასთან, კარანტინის პირობებში მკვეთრად გაიზარდა მარკეტინგული მიზნებისათვის სოციალური ქსელების გამოყენება და კომპანიების დიდი ნაწილი ელექტრონულ კომერციაზე გადადის. ბიზნეს-ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ 2021 წლისთვის სამუშაო ძალის 25-30% დისტანციურ მუშაობაზე გადავა². 2020 წლის აპრილის ბოლოს წინა თვესთან შედარებით 50%-ით გაიზარდა Zoom-ის გამოყენებით ვიდეოკონფერენციების მონაწილეთა დღიური რაოდენო-

¹ https://www.cdc.gov/nchs/nvss/vsrr/covid_weekly/index.htm#SexAndAge

² https://www.gesetze-im-internet.de/englisch_aufenthg/englisch_aufenthg.html#p0392

ბა.¹ ამან შეიძლება დააჩქაროს ტექნოლოგიების განვითარება, რომელიც უფრო განხორციელებადს და მიმზიდველს გახდის დისტანციურ მუშაობას. ნორმის დანერგვა, რომ საქმიანი შეხვედრები არსებითად ონლაინ ფორმატში ტარდება, გამოიწვევს ხანგრძლივ ცვლილებებს სამუშაოსთან დაკავშირებულ მობილობაში და შეცვლის თვითონ მუშაობის ხასიათს.

ამის შედეგად მოსალოდნელია, რომ შემცირდება ქალაქებში შემოგარენიდან და უკან გადაადგილებულთა ნაკადები, რამაც შესაძლოა ქალაქებიც ძლიერ შეიცვალოს: ჯერ ერთი, კომპანიებს შეიძლება აღარ დაჭირდეთ სათაო ოფისები („headquarters“) ცენტრალურ ქალაქებში. ბევრი კომპანია უკვე სწავლობს, თუ მომუშავეების რა ნაწილი შეიძლება იყოს დისტანციურად დასაქმებული. თუ აქამდე მთელი ეკონომიკა წარმოდგენილი იყო ადამიანთა უდიდესი მასის მოძრაობით ოფისამდე და უკან, რაც ასტიმულირებდა მეგაპოლისებში ადამიანთა გადაადგილების საჭიროების გამო ტრანსპორტის, რესტორნების, ბარების, სასურსათო და სხვა სახის ბიზნესების განვითარებას, ამ ნაკადების შემცირების შემთხვევაში, ასეთი სახის ეკონომიკური აქტიურობა შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. დისტანციური მუშაობის შესაძლებლობების გაფართოებამ შეიძლება გარკვეულწილად ასტიმულიროს მოსახლეობის ქალაქების ცენტრებიდან ქალაქგარეთ გადასვლა, სოფლებსა და რეგიონულ რაიონებში მოსახლეობის დაბრუნება, სადაც ცხოვრების ხარჯები ნაკლებია და „დისტანციური მუშაობაც“ ხელმისაწვდომია.

დისტანციური მუშაობის შესაძლებლობების გაზრდამ შესაძლოა გავლენა იქონიოს საერთაშორისო მიგრაციაზეც იმ მიმართულებით, რომ უცხოელ ექსპერტებსა და პროფესიონალებს ნაკლებად დაჭირდებათ საქმიანი ვიზიტები კონკრეტულ ქვეყნებში სწავლების, კონსულტირებისა თუ შეხვედრების ორგანიზებისათვის, გაფართოვდება უცხოელი მომუშავეების დაქირავებისა და საზღვარგარეთიდან მუშაობის შესაძლებლობები. ეს კი გარკვეულწილად შეამცირებს მიგრაციის ნაკადებს.

➤ როგორ შეიცვლება სტრუქტურული მიგრაცია?

¹ https://www.gesetze-im-internet.de/englisch_aufenthg/englisch_aufenthg.html#p0392

კოვიდეპიდემიის პირობებში საერთაშორისო გადაადგილების შეზღუდვა და დისტანციური კომუნიკაციის შესაძლებლობების გაზრდა ასევე აისახება სტუდენტური მიგრაციის მასშტაბებზე.

მსოფლიოში ბოლო 25 წლის განმავლობაში „განათლების ექსპორტი“ მსხვილი ბიზნესი გახდა: 2020 წლამდე მასში წელიწადში 5,3 მლნ საერთაშორისო სტუდენტი მონაწილეობდა¹, 300 მლრდ აშშ დოლარის წლიური ეკონომიკური მოცულობით². ბევრი უნივერსიტეტი კვლევებს აფინანსებდა საერთაშორისო სტუდენტების გადახდებიდან, სტუდენტები ასრულებენ არაკვალიფიციურ სამუშაოებს სწავლისგან თავისუფალ დროს, სწავლის დამთავრების შემდეგ ავსებენ მაღალკვალიფიციურ სამუშაო ადგილებს, რაც ასე ჭირდებათ მიმღები ქვეყნების უმეტესობას. პანდემიამ ეს ბიზნეს-მოდელი მნიშვნელოვნად დააზარალა. პანდემიის პირობებში საერთაშორისო სტუდენტების მობილობის შეზღუდვის გამო, 2020 წლის აპრილის ბოლოს აშშ-ში კოლეჯების 10-დან 20%-მდე დახურვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა³; დიდი ბრიტანეთი პროგნოზირებს საერთაშორისო სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეთა რაოდენობის 47%-იან კლებას, რაც სექტორს 1,5 მლრდ ფუნტი სტერლინგის ზარალს მოუტანს; ავსტრალიის უნივერსიტეტები პროგნოზირებენ 21 000 სამუშაო ადგილის დაკარგვას და შემოსავლის 23 მლრდ ავსტრალიული დოლარით (14,5 მლრდ აშშ დოლარი) შემცირებას. ბევრმა მთავრობამ უარი თქვა უნივერსიტეტების, როგორც არაეფექტიანი კომპანიების, გადარჩენის ღონისძიებებზე.⁴

¹ UNESCO Institute for Statistics. Available from <http://data.uis.unesco.org/#>

² Choudaha, R. 2019 Beyond \$300 billion: The global impact of international students. Studyportals.com. Available online at <https://studyportals.com/intelligence/global-impact-of-international-students/>

³ Fies, A. and J. Hill 2020 Coronavirus pandemic brings staggering losses to colleges and universities. ABC News (United States), 28 April. Available from <https://abcnews.go.com/Business/coronaviruspandemic-brings-staggering-losses-colleges-universities/story?id=70359686>

⁴ Kunkler, B. 2020 Australian universities were sick before the pandemic. Jacobin, 26 April. Available from <https://jacobinmag.com/2020/04/australian-universities-coronavirus-austerity-funding-privatization>

საერთაშორისო გადაადგილებაზე შეზღუდვების შემსუბუქების კვალობაზე მოსალოდნელია, რომ უცხოელი სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი დაუბრუნდება საზღვარგარეთ არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, თუმცა სტუდენტური მიგრაციის ადრინდელი მასშტაბებით აღდგენა პანდემიის დასრულებამდე, სავარაუდოდ, ვერ მოხერხდება.

➤ **რა გავლენას იქონიებს საერთაშორისო მობილობის ცვლილება ეკონომიკაზე?**

ტურისტული ინდუსტრია პანდემიის ერთ-ერთი ძირითადი მსხვერპლია. დარგის ექსპერტები დარწმუნებულნი არიან, რომ იგი ჯერ კიდევ დიდხანს ვერ დაუბრუნდება პანდემიამდე არსებულ დონეს. საერთაშორისო მოგზაურობა დარჩება მკაცრად რეგულირებული და შეზღუდული მანამდე, ვიდრე სულ ცოტა, კაცობრიობის დიდი ნაწილი არ იქნება ვაქცინით აცრილი. ასეთ პირობებში სფეროს წარმომადგენლები ცდილობენ განავითარონ ახალი სტრატეგიები და პროექტები ტურიზმის გადასარჩენად. მაგალითად, ლატვიამ, ლიეტუვამ და ესტონეთმა პირველებმა შექმნეს ე.წ. „მოგზაურობის ბუშტები“,¹ რაც გულისხმობს საერთაშორისო ტურისტებისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნას, როცა ისინი წარმატებით შეძლებენ უსაფრთხო გადაადგილებას „ბუშტის“ შიგნით. მსგავს მიზანს ემსახურებოდა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ 2020 წლის ზაფხულში მომზადებული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში უცხოელების მოზიდვას მათი პროფესიული საქმიანობის დისტანციურად განსახორციელებლად შესაბამისი უსაფრთხო გარემოს შექმნის გზით, თუმცა ამ პროექტის განხორციელებას ხელი კოვიდ პანდემიის მეორე ტალღის დაწყებამ შეუშალა.

¹ Chapman, A. 2020 Coronavirus travel bubble established in the Baltic as Australia and New Zealand ponder tourism plan. 7News, 16 May. Available from <https://7news.com.au/lifestyle/health-wellbeing/coronavirus-travel-bubble-established-in-baltic-as-australia-and-new-zealand-pondertourism-plan-c-1041453>

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ „მოგზაურობის ბუშტები“-ს მეშვეობით რთულია ტურიზმის მხარდაჭერა, ჯერ ერთი, პანდემიასთან დაკავშირებული სიტუაციის ზუსტი პროგნოზირების და მერც, „ბუშტების“ მასშტაბების შეზღუდულობის გამო. ამასთან, ფიქსირდება ტურისტული კომპანიების საქმიანობის პროფილის შეცვლა და მათი დიდი ნაწილის გადასვლა ე.წ. მიწოდების სფეროში, რაც კიდევ უფრო არაპროგნოზირებადს ხდის ტურიზმის განვითარების პერსპექტივებს.

საერთაშორისო ტურიზმის შემცირება ნეგატიურად აისახება ტურიზმის თანმდევ ეკონომიკის იმ სექტორებზეც, რომლებიც ტურისტულ სფეროს სხვადასხვა სახის პროდუქციასა და სერვისს სთავაზობენ (საკვების წარმოება, ტრანსპორტი, გასართობი ბიზნესი, მომსახურება, ვაჭრობა და სხვ.). შედეგად მცირდება სამუშაო ადგილების რაოდენობა და იზრდება უმუშევრობა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში 2020 წელს უმუშევართა რაოდენობა 33 მლნ-ით გაიზარდა, ხოლო არასრული დასაქმების გამო სამუშაო დროის დანაკარგები 255 მლნ სამუშაო ადგილის ექვივალენტს გაუტოლდა.¹

გლობალური მასშტაბით ვაქცინაციის დაჩქარება და კოვიდ-პანდემიის დაძლევა დაეხმარება მსოფლიოს დაძლიოს არსებული გამოწვევები, მათ შორის საერთაშორისო მობილობის სფეროში და დაუბრუნდეს ცხოვრების ჩვეულ რიტმს, თუმცა მიგრაციის მახასიათებლებსა და მიგრაციულ პოლიტიკაში პანდემიით გამოწვეული რიგი ცვლილებები შესაძლოა ხნაგრძლივ ტენდენციებადაც დარჩეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. IOM. World Migration Report 2020. <https://worldmigrationreport.iom.int/wmr-2020-interactive/>; <https://publications.iom.int/books/world-migration-report-2020>;
2. Act on the Residence, Economic Activity and Integration of Foreigners in the Federal Territory. https://www.gesetze-im-internet.de/englisch_aufenthg/englisch_aufenthg.html#p0392

¹ https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@dgreports/@dcomm/documents/briefingnote/wcms_767028.pdf

3. Aranda, C.R. 2020 New UK migrant control system is Priti-good, but Trump's is better. *The Manila Times*, 25 May. Available from www.manilatimes.net/2020/05/25/opinion/columnists/new-uk-migrantcontrol-system-is-priti-good-but-trumps-is-better/726999/.
4. Chapman, A. 2020 Coronavirus travel bubble established in the Baltic as Australia and New Zealand ponder tourism plan. *7News*, 16 May. Available from <https://7news.com.au/lifestyle/health-wellbeing/coronavirus-travel-bubble-established-in-baltic-as-australia-and-new-zealand-ponder-tourism-plan-c-1041453>
5. Gopinath, G. 2020 The great lockdown: Worst economic downturn since the Great Depression. *IMFBlog*, 14 April. Available from <https://blogs.imf.org/2020/04/14/the-great-lockdown-worst-economicdownturn-since-the-great-depression>
6. Fies, A. and J. Hill 2020 Coronavirus pandemic brings staggering losses to colleges and universities. *ABC News (United States)*, 28 April. Available from <https://abcnews.go.com/Business/coronaviruspandemic-brings-staggering-losses-colleges-universities/story?id=70359686>
7. ILO Monitor: COVID-19 and the world of work. Seventh edition. Updated estimates and analysis https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/@dgreports/@dcomm/documents/briefingnote/wcms_767028.pdf
8. Kunkler, B. 2020 Australian universities were sick before the pandemic. *Jacobin*, 26 April. Available from <https://jacobinmag.com/2020/04/australian-universities-coronavirus-austerity-funding-privatization>
9. UNESCO Institute for Statistics. Available from <http://data.uis.unesco.org/#>
10. Wolfers, J. 2020 The unemployment rate is probably around 13 percent. *New York Times*, 3 April. Available from www.nytimes.com/2020/04/03/upshot/coronavirus-jobless-rate-great-depression.html?searchResultPosition=2
11. Vertovec, S. 2020. Low-skilled migrants after Covid-19: Singapore futures? *COMPAS Coronavirus and Mobility Forum*, 21 April. Available from www.compas.ox.ac.uk/2020/low-skilled-migrants-after-covid19-singapore-futures/

Covid-Pandemic and International Migration Processes (Abstract)

The Covid-19 pandemic and the associated global crisis have had a significant impact on international migration. The impact of the pandemic on migration is so great and multifaceted that questions have arisen about the future of migration, its substantial change in scale, trends and characteristics. 1.5 years after the pandemic began, despite the development of the Covid-19 vaccine and the start of the worldwide vaccination process, it is still difficult to accurately predict when the epidemic will end and the future of migration is unclear. Assuming expectations and assessments about the future of migration and changes in its characteristics. In particular:

A pandemic can have an impact not only temporarily but also long-term on people's migratory attitudes and migration decisions. There is speculation that due to the difficulties and stresses associated with the pandemic, part of the population will no longer be focused on migration. Also, the deterioration of the economic and political situation due to the pandemic may increase the emigration of more people, which creates the preconditions that due to the reduction of restrictions on movement (which depends on the course and outcome of the vaccination process), more people may be involved in migration.

Due to the economic and humanitarian importance of migration, it will continue to be influenced by a number of economic, social or political factors, but will continue to change in characteristics and form. Most likely, migration flows will be more organized and well managed.

- ✓ The pandemic has given significant impetus to the strengthening of interstate cooperation in the areas of temporary circular and seasonal labor migration, as well as the promotion of the employment of highly qualified specialists. It is expected that the opportunities and area of cooperation in the field of labor migration will increase.
- ✓ The influence of Covid-19 can change the demographic factors of population growth and socio-economic development processes in such a way that it affects territorial mobility, change the patterns

of urbanization and internal migration that existed before the pandemic.

- ✓ In the conditions of the pandemic, the possibilities of remote work in the world increased very fast and its advantages became visible. It is expected that humanity will make even greater use of the opportunity to work remotely in the future, which in turn will help reduce the migration flows driven by business visits.
- ✓ Accelerating vaccination globally and overcoming the pandemic will help the world overcome existing challenges, including international mobility, and return to normal life, although a number of pandemic-induced changes in migration characteristics and migration policy may remain long-term trends.

მურმან ცარციძე

*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი*

ნათელა ლაცაბიძე

*ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტის
უფროსი*

შრომითი ემიგრაციის თავისებურებები საქართველოში მიმდინარე გლობალური კრიზისის პირობებში

მიმდინარე გლობალური კრიზისის პირობებში, ქვეყანაში არსებული უმუშევრობის მაღალი დონე და მასშტაბები, არაეფექტიანი დასაქმება, შრომის ანაზღაურების დაბალი დონე, ღირსეული შრომისა და ანაზღაურების პირობების უქონლობა პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის შრომით მიგრაციაზე, განსაკუთრებით კი შრომითი ემიგრაციის მასშტაბებზე. აღნიშნული პრობლემა თავისი აქტუალობით ყოველთვის წარმოადგენდა ქართველ მეცნიერთა კვლევის სფეროს და მას არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევითი ნაშრომი მიეძღვნა [ტუხაშვილი, 2008:11]; [ზუბიაშვილი 2010:178-179]; [Kyteliya, Meladze, Tsuladze., 1997]; [წულაძე, ნიკლაური, 2008]; [სულაბერიძე, 2017]; [Tsuladze G. 2007]; [არჩვაძე, 2013]; [ჭელიძე, 2016]; [ბუნტური, 2017:5]. საქართველოს მოსახლეობის მასობრივი მიგრაციის პრობლემა მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, არა მარტო სპეციალისტების, არამედ საზოგადოების, მთავრობის და ეკლესიის მსჯელობის საგანიც კი გახდა. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა არაერთხელ გაამახვილა ყურადღება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია არაეფექტიან დასაქმებას, შემოსავლების სიმცირეს, შესაბამისად, ცხოვრების დაბალ დონესა და სიღარიბის არსებობას დაუკავშირა. კერძოდ, იგი ხაზს უსვამს ამ სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის როგორც

დადებით, ისე უარყოფით მხარეს და აღნიშნავს, რომ: „უცხოეთი კარგია, როცა ადამიანი იქ სწავლობს, ცოდნას იძენს, მაგრამ უცხოეთში საცხოვრებლად წასვლა მცირერიცხოვანი ერის გადაგვარებაა! ამიტომ მასობრივი მიგრაცია ძალიან საშიში მოვლენაა ქართველებისათვის!“ [ილია II, 2014]. ცხადია, რომ შრომითი მიგრაციის მაღალი დონე და კატასტროფული მასშტაბები საგრძნობ გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებასა და შრომითი პოტენციალის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, მის განვითარებაზე. „მოსახლეობის მიგრაცია თანამედროვე საქართველოს უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. მეტისმეტად მაღალი ინტენსიურობისა და ცალმხრივი მიმართულების გამო მან დიდი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს დემოგრაფიულ და შრომით პოტენციალზე“ [ბუნტური, 2017:5]. განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა შრომითი ემიგრაციის დიდი მასშტაბები. ბოლო პერიოდში შრომით მიგრანტთა ყველაზე მაღალი ნაკადები დაფიქსირდა რუსეთის ფედერაციაში, საბერძნეთში, იტალიაში, აშშ-ში, თურქეთში, გერმანიაში, ისრაელში, ესპანეთში. მიგრანტთა დიდი ნაწილი რუსეთის ფედერაციაზე მოდის. „რუსეთში ბევრი ქართველი ცხოვრობს, მათი რიცხვი ერთ მილიონს აღწევს“ [ილია II, 2016]. მსოფლიო ბანკის ექსპერტების შეფასებით, საქართველოში მიგრაციის დონე ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობასთან მიმართებაში საკმაოდ მაღალია და 30%-ს აჭარბებს. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, შრომით ემიგრანტთა მთლიანი რაოდენობის 40% ქალია. მართლაც, რომ „გლობალიზაციის კვალდაკვალ სულ უფრო შესამჩნევი ხდება მიგრაციულ პროცესებში ქალთა მონაწილეობა. ამჟამად მსოფლიოს მიგრანტთა 48% ქალიამიგრანტებში ქალთა წილის ზრდა შესამჩნევეა საქართველოშიც. მაგალითად, 2002 წლის მოსახლეობის აღწერითა და ამავე პერიოდში საქართველოში ჩატარებული გამოკვლევებით, ემიგრანტებში ქალთა წილი 43% იყო, შემდეგ კი იგი კიდევ უფრო გაიზარდა, მოსახლეობის 2014 წლის აღწერით 54.62%-ს მიაღწია“ [შელია, 2018:119] (ცხრილი 1).

ცხრილი 1. საქართველოდან ემიგრირებული მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, დანიშნულების ქვეყნების მიხედვით¹ [ჰაკერტი, სუმბაძე, 2017]

დანიშნულების ქვეყანა	სულ, ემიგრანტები		მამაკაცი (%)	ქალი (%)
	რაოდენობა	%		
რუსეთი	19195	21.68	71.06	28.94
საბერძნეთი	14048	15.87	16.98	83.02
თურქეთი	9922	11.21	32.88	67.12
იტალია	9612	10.86	14.28	85.72
გერმანია	6259	7.07	44.86	55.14
აშშ	5021	5.67	48.93	51.07
ესპანეთი	3597	4.06	47.93	52.07
საფრანგეთი	3293	3.72	57.58	42.42
უკრაინა	3283	3.71	79.77	20.23
აზერბაიჯანი	1802	2.04	60.54	39.46
სხვა ქვეყნები	11590	13.09	55.94	44.06
არ არის მითითებული	919	1.04	48.20	51.80
სულ	88541	100.0	45.38	54.62

საქართველოდან ემიგრაციის მასშტაბები გაცილებით მაღალია რუსეთში, საბერძნეთში, თურქეთში, იტალიაში, გერმანიაში. რაც შეეხება გენდერულ მხარეს, აქ საკმაოდ გამოკვეთილი, განსხვავებული პოზიციაა ემიგრაციის ქვეყნების მიხედვით. კერძოდ, საქართველოდან ემიგრირებული მამაკაცები წასვლას რუსეთის ფედერაციასა და უკრაინაში ამჯობინებენ მაშინ, როცა საქართველოდან ემიგრირებული ქალების უმრავლესობა იტალიაზე, თურქეთსა და საბერძნეთზე მოდის. აღსანიშნავია, რომ ცხრილის მონაცემები ეფუძნება მოსახლეობის აღწერისას ემიგრანტის შესახებ შევსებული კითხვარებიდან (აღწერის დროს ჯამში შეივსო სულ 88541 კითხვარი) მიღებულ

¹ საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის სიღრმისეული ანალიზი (geostat.ge).

ინფორმაციას და ზემოაღნიშნულ შეფასებებთან შედარებით საკმაოდ განსხვავებულ სურათს იძლევა. კერძოდ, თითქმის ყველა საექსპერტო მონაცემის მიხედვით, 1989-2002 წლებში ქვეყანა დატოვა სულ მცირე 1.0 მილიონზე მეტმა ადამიანმა. აღნიშნულ უზუსტობას განაპირობებს სხვადასხვა მიზეზი: ზოგიერთი ოჯახი ემიგრაციაში წასულ პირებს კვლავ შინამეურნეობის ნევრად აღრიცხავდნენ და კითხვარში მათ სტატუსს უცვლელს ტოვებდნენ, ასევე კითხვარი არ შევსებულა და სათანადო ინფორმაცია არ არსებობს იმ ოჯახების ნევრთა ემიგრაციის შესახებ, რომლებმაც სრული შემადგენლობით დატოვეს ქვეყანა. შესაბამისად, ემიგრანტთა შესახებ კითხვარებიდან მიღებული ინფორმაციის დაბალი სანდოობის, მისი დაზუსტებისა და სრულყოფის მიზნით, განხორციელდა 2014-2002 წლების საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების დაზუსტება გადაანგარიშების მოდელის გამოყენებით, რამაც საფუძვლიანად შეცვალა სურათი ემიგრაციის დონესა და მასშტაბებთან მიმართებაში. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს რეგიონების მიხედვით ემიგრანტთა განაწილების შესახებ მიღებული საბოლოო ინფორმაცია (ცხრილი 2).

კერძოდ, გადაანგარიშებული მონაცემების მიხედვით, საანალიზო პერიოდში ქვეყნის ფარგლები დატოვა სულ 1145712 პირმა. მათგან ყველაზე დიდი ნაკადი 537620 კაცი, ანუ საერთო რაოდენობის 46.9% ქ. თბილისზე მოდის. ემიგრანტების მაღალი წილით გამოირჩევა იმერეთის, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონები, სადაც მათი წილი შესაბამისად 14.2% და 13.6%-ია. ემიგრანტთა 10.2% კი ქვემო ქართლის რეგიონის მიხედვით ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ ემიგრანტი მამაკაცების ნაკადები უფრო მასშტაბურია ქალებთან შედარებით.

ცხრილი 2. საქართველოში დაბადებულ ემიგრანტთა განაწილება რეგიონების, მოსახლეობის აღწერისას შევსებული ემიგრანტის შესახებ კითხვარის და გადაანგარიშების საბოლოო შედეგების მიხედვით¹

რეგიონი	კითხვარი ემიგრანტის შესახებ		გადაანგარიშება	
	ემიგრანტები	%	ემიგრანტები	%
თბილისი	27956	31.6	537620	46.9
აჭარა	3994	4.5	43180	3.8
გურია	1408	1.6	7080	0.6
იმერეთი	20298	22.9	162620	14.2
კახეთი	7271	8.2	49676	4.3
მცხეთა-მთიანეთი	2243	2.5	15754	1.4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვ. სვანეთი	489	0.6	5032	0.4
სამეგრელო და ზემო სვანეთი	6897	7.8	156210	13.6
სამცხე-ჯავახეთი	2769	3.1	31176	2.7
ქვემო ქართლი	11099	12.5	116550	10.2
შიდა ქართლი	4117	4.7	20814	1.9
სულ	88541	100.0	1145712	100

შრომითი მიგრაციის ანალიზისას მნიშვნელოვანია ემიგრაციაში წასული მოსახლეობის შესწავლა განათლების დონის მიხედვით. მათ შემადგენლობაში აშკარად იკვეთება უმაღლესი განათლების მქონე პირთა მაღალი წილი (ცხრილი 3). ემიგრანტების საერთო რაოდენობიდან, 26.5% მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მფლობელია. მათ შორის, მამაკაცების წილი – 14.1%, ხოლო ქალების წილი 12.4%-ია. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარის-

¹ საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა და 2014-2002 წლების საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება. მოსახლეობა და დემოგრაფია - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge);

ნის მქონეა. მამაკაცების 20.5% და ქალების 19.7% ანუ ჯამში სულ 40.2%.

ცხრილი 3. საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოსახლეობაში 10 წელზე უფროსი ასაკის პირების, ემიგრანტების და სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების განაწილება განათლების დონის მიხედვით სქესობრივ ჭრილში, ემიგრანტის შესახებ კითხვარიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით (%)¹

დასახელება	10 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობა		ემიგრანტები		სამშობლოსი დაბრუნებული მიგრანტები	
	მამაკაცები	ქალები	მამაკაცები	ქალები	მამაკაცები	ქალები
დოქტორის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	0.5	0.5	0.6	0.6	1.1	1.0
მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	12.0	14.1	14.1	12.4	18.6	22.0
ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი	14.4	15.3	20.5	19.7	18.9	21.8
პროფესიული განათლება	16.9	20.1	18.9	15.0	16.3	19.5
სრული ზოგადი განათლება	42.2	36.6	38.2	43.2	37.4	27.8
სხვა	14.0	13.4	7.7	9.1	7.7	7.9

დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს კი ფლობს ემიგრანტი ქალებისა და მამაკაცების თანაბარი წილი 0.6%. მთლიანობაში უმაღლესი განათლების მქონე ემიგ-


¹ საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა და 2014-2002 წლების საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება. მოსახლეობა და დემოგრაფია - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge).

რანტი მამაკაცების წილი (35.2%) გაცილებით მეტია ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებ 10 წელზე უფროსი ასაკის პირებში განათლების შესაბამისი ხარისხის მქონე როგორც მამაკაცების (26.9%), ასევე ქალების წილთან (29.9%) შედარებით. კიდევ უფრო მაღალია ჯამში სამშობლოში დაბრუნებული უმაღლესი განათლების მქონე მიგრანტი მამაკაცებისა და ქალების წილი, შესაბამისად 38.6% და 44.8%. აღნიშნული ტენდენცია მასობრივი შრომითი ემიგრაციის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ემიგრანტთა დიდი ნაწილი (70% და მეტი) 20-39 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება და ბუნებრივია აღნიშნული კონტინგენტის უმრავლესობის მიზანს საზღვარგარეთ განათლების, უპირატესად კი უმაღლესი განათლების მიღების მიზნით წასვლაც წარმოადგენს. თუმცა, მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ მათ შემადგენლობაში მაღალია მაღალკვალიფიციური, მაღალინტელექტუალური პირების, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების, ელიტური უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა წილიც [Tukhasvhili, 2018:132-140], რომელიც ბოლო პერიოდში ზრდის ტენდენციით ხასიათდება და სავსებით შესაძლებელია რომ „სავარაუდოდ, ახალგაზრდობის ძლიერი ემიგრაციული განწყობა მომავალში საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალის შემცირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდება“ [შელია, 2018:137]. 2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, განათლების მიღების მიზნით საქართველოდან ემიგრირებული პირებიდან (სულ 7122 პირი, ქალებისა და მამაკაცების საერთო რაოდენობა) ძირითადი ნაწილი განათლების მიღებას გერმანიაში, აშშ-ში, რუსეთსა და საფრანგეთში ამჯობინებს (ცხრილი 4).

მეორე მხრივ, მიმდინარე გლობალური კრიზისის პირობებში, ახალ მაღალკვალიფიციურ სპეციალობებზე მოთხოვნამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თანამედროვე ქართველი ახალგაზრდების თვითშეგნების ამაღლებას. მათთვის ძალზე მნიშვნელოვანი გახდა ეკონომიკური თავისუფლების მოპოვება და კარგი განათლების მიღება, კონკურენტუნარიანობის ამაღლება [Shelia M. 2018, 94-102], რაც თავის მხრივ განაპირობებს საერთაშორისო შრომითი და საგანმანათლებლო მიგრაციული

ცხრილი 4. განათლების მიღების მიზნით საქართველოდან ემიგრირებული პირების პროცენტული წილი, დანიშნულების ქვეყნების მიხედვით¹

ქვეყანა	პროცენტი
გერმანია	32.85%
სსეა ქვეყნები	30.02%
აშშ	10.59%
რუსეთი	6.88%
საფრანგეთი	4.91%
უკრაინა	3.79%
იტალია	3.17%
თურქეთი	2.63%
ესპანეთი	2.37%
საბერძნეთი	1.66%
აზერბაიჯანი	0.51%
არარის მითითებული	0.82%
სულ რაოდენობა- 7122	100.0%



¹ საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის სიღრმისეული ანალიზი. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის სიღრმისეული ანალიზი (geostat.ge).

პროცესების განვითარებას. ამ მიმართულებით ძალზე საინტერესოა კვლევა, რომლის შედეგადაც გამოკვეთილია სტუდენტი ახალგაზრდების საზღვარგარეთ ემიგრაციაში გადინების ძირითადი მიზეზები. კერძოდ, გამოკითხულ სტუდენტთა 38% ემიგრაციაში წასვლის ძირითად მიზეზად სწავლის გაგრძელებას მიიჩნევს; 18% - დასაქმება და შემოსავლების მიღებას; 15% - უცხო ენების შესწავლას; 8% - დამოუკიდებლად ცხოვრებას. სტუდენტების 6% აღიარებს, რომ ქვეყანაში არ არსებობს სათანადო პირობები საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციისათვის [Tukhashvili M..., 2018, 136].

მიგრაციის, როგორც მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის დახასიათებასთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მასზე მოქმედი ფაქტორების, გამომწვევი მიზეზების კვლევას. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ცალკეული სპეციალისტების მოსაზრებები და შეფასებები. პროფესორი თ. ზუბიაშვილი მასშტაბურად ახასიათებს მიგრაციული პროცესების თავისებურებებსა და მის გამომწვევ მიზეზებს და აღნიშნავს, რომ „გლობალიზაცია ხასიათდება მტკიცე ეკონომიკური, საინფორმაციო, პოლიტიკური, კულტურული და სხვა კავშირების დამყარებით. სწორედ ეს კავშირები ხდება მათი მომავალი განვითარების განმსაზღვრელი კომპონენტები. ამ კავშირების მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს მიგრაციული ნაკადები, ე.ი. ადამიანთა სახელმწიფოთაშორისი გადაადგილება, რაც გამომწვეულია მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ობიექტური უთანაბრობით, სხვადასხვა ქვეყნებში ეკონომიკური პირობების უთანასწორობითა და შესაძლებლობებით, მათი მონაწილეობით მოდერნიზაციისა და გლობალიზაციის პროცესებში სხვადასხვა ხარისხით, მსოფლიო შრომის ბაზრის მოთხოვნით“ [ზუბიაშვილი, 2018:2016].

შრომითი მიგრაციასთან დაკავშირებული კვლევის შედეგად ძალზე საინტერესო და ობიექტურ დასკვნებს გვაძლევს პროფესორი მ. შელია, სადაც იგი მის გამომწვევ მიზეზებთან ერთად რამდენიმე მნიშვნელოვან, არსებით ფაქტორს გამოყოფს. კერძოდ, „ემიგრაციის ინტენსიურობის ზრდას რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე განსაზღვრავს, ეს სამეცნიერო ლიტერატურაში აქსიომადაა მიჩნეული. საქართველოშიც ქალთა ემიგრაციის განმსაზღვრელი

უმთავრესი მიზეზი ცხოვრების დაბალი დონეა. ის კი შეინიშნება, რომ თუ პოსტსაბჭოთა საზოგადოების ტრანსფორმაციის პირველ ათწლეულში ძირითადი მიზეზი უმუშევრობა იყო, ამჟამად ამას დასაქმებული სამუშაო ძალის დაბალი ფასიც, ე.წ. „ლარიზი დასაქმებულების“ არსებობაც დაემატა“ [შელია, 2017:119]. მართლაც ქვეყანაში არსებული ქრონიკული უმუშევრობა, შრომის ანაზღაურების, შემოსავლების დაბალი დონე, შრომის არაკეთილსასურველი პირობები და შესაბამისად შრომითი ცხოვრების ხარისხისა და ცხოვრების დაბალი დონე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს შრომითი მიგრაციის დონეზე და მნიშვნელოვნად ასტიმულირებს მას. შესაბამისად, „2000-იანი წლებიდან დღემდე ქვეყნიდან ემიგრაციის მთავარ ფაქტორად რჩება უმუშევრობის მაღალი დონით გამოწვეული მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სიღატაკის დაძლევის და ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მცდელობა. აღნიშნულმა კიდევ უფრო შეამცირა მოსახლეობის რაოდენობა, დააჩქარა ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურის დეფორმაცია (დემოგრაფიული დაბერების ზრდა) და ეროვნული შემადგენლობის ცვლილება“ [სულაბერიძე, 2018:12]. უმუშევრობის, შრომის ანაზღაურების დაბალი დონისა და სამუშაო ადგილების დეფიციტთან ერთად მიგრაციული პროცესების მასშტაბურობას სხვა მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორებიც განაპირობებს, რაც ძალიან კარგად ჩანს პოსტსაბჭოურ ქვეყნებსა და განსაკუთრებით საქართველოში ამ პრობლემებთან დაკავშირებით განხორციელებულ ძალზე საინტერესო და თანამედროვე კვლევებში. კერძოდ, „კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის მიხედვით: სამუშაო ადგილების დეფიციტი და დაბალი ანაზღაურება გახდა მიგრაციული პროცესების გასაძლიერებელი ნოყიერი ნიადაგი; რიგ ქვეყნებში რომ არა ემიგრაციის დიდი ტალღა, უმუშევრობის მასშტაბები კიდევ მეტი იქნებოდა; საანალიზო პერიოდში, რვა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში, მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის რიცხოვნობა, მათ შორის, სამწუხაროდ, ყველაზე მეტად – საქართველოში. აღნიშნული განაპირობა, როგორც ეკონომიკურმა (სამუშაო ადგილების დეფიციტი, დაბალი ანაზღაურება), ასევე პოლიტიკურმა ფაქტორებმა“ [სილაგაძე ა., ათანელიშვილი თ., სილაგაძე ნ., 2020:175-176].

შრომითი მიგრაციის პრობლემებისა და მისი გამომწვევი მიზეზების, ასევე მის შედეგებთან დაკავშირებით საყურადღებო დასკვნებია მოცემული შესაბამის სამთავრობო დოკუმენტებშიც. კერძოდ, „დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდულობა, განვითარებული ქვეყნების ბაზრებთან შედარებით, შრომის ანაზღაურების დაბალი დონე უბიძგებს საქართველოს მოსახლეობის ყველაზე აქტიურ ნაწილს, დატოვონ ქვეყანა და არსებობის წყარო საზღვარგარეთ ეძებონ. სპეციალური კვლევები ადასტურებს, რომ შრომით მიგრანტთა 80-85% ქვეყანას ეკონომიკური მიზეზებით (უმუშევრობა, დაბალი ხელფასი) ტოვებს“ [დადგენილება N199, 2013].

ძალზე საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნულ ფაქტორებთან (უმუშევრობა, დაბალი შემოსავალი, შრომის არაკეთილსაზურველი პირობები, სამუშაო ადგილების უკმარისობა და სხვა) ერთად, ქართველი მკვლევარების სხვა ჯგუფი საგანმანათლებლო მიგრაციის საკითხებს ეხება და ძალზე საინტერესოდ წარმოადგენს ამ უკანასკნელის განვითარების თავისებურებებს, მიმართულებებსა და ტენდენციებს, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში. მართლაც „ბოლო წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ახალგაზრდების წილი შრომისა და განათლების მიგრაციაში. განათლების მობილობის ზრდას ხელი შეუწყო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბოლონიის პროცესში ჩართულობამ. საქართველო ბოლონიის პროცესს შეუერთდა 2005 წელს. საქართველოდან საერთაშორისო საგანმანათლებლო მიგრაციის ზრდის ძირითადი მიმართულებებია ევროპისა და აშშ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები“ [Kharaiashvili E., Natsvlishvili I., 2019]. შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის, თვითდამკვიდრებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით შრომითი და საგანმანათლებლო მიგრაციის მასშტაბების ზრდას განაპირობებს სხვა ფაქტორებიც. კერძოდ, „ახალგაზრდების მიგრაციის მაღალი ტემპი განპირობებულია შრომის ბაზარზე კონკურენციის მაღალი დონით, მაღალი ხარისხის განათლებისა და უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაოების პოვნის სურვილით. სტუდენტური მიგრანტების პოტენციალის შეფასებას სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნე-

ლობა აქვს პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის. კვალიფიციური მიგრანტების საზოგადოებაში ინტეგრაცია იწვევს ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების დანერგვას, ქმნის მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პირობებს ქვეყანაში“ [Kharaiashvili E., Natsvlishvili I. 2019]. საგანმანათლებლო-პროფესიონალური მობილურობის ზრდა, თავის მხრივ, ქმნის საფუძველს დისტანციური დასაქმების სხვადასხვა ფორმის განვითარებისათვის.

მიგრაციის გამომწვევი ფაქტორების ანალიზისას ასევე საინტერესო შეფასებას გვაძლევს პროფესორი ი.არჩვაძე, რომელიც ძირითად აქცენტს მრავალ სხვადასხვა ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორზე აკეთებს. „მიგრაცია მრავალი ფაქტორით განისაზღვრება, თუმცა მთავარი, როგორც უკვე ითქვა, ეკონომიკური მიზეზია. სწორედ ეკონომიკური ფაქტორებით არიან საქართველოდან გასული მიგრანტების არანაკლებ $\frac{3}{4}$. დანარჩენ მიზეზებზე - ოჯახების გაერთიანება, ეთნიკური მიგრაცია, საკუთარ ისტორიულ სამშობლოში დასაბრუნებლად, სწავლის ან ჯანმრთელობის პრობლემების გამო, გასულთა რაოდენობის მხოლოდ $\frac{1}{4}$ მოდის“ [არჩვაძე, 2018:178].

როგორც ანალიზის შედეგები გვიჩვენებს, ქვეყანაში შრომითი მიგრაციის მასშტაბებზე უამრავი სხვადასხვა ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ფსიქოლოგიური ფაქტორი ზემოქმედებს. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ მიგრაციის პრობლემების დარეგულირებისა და ნორმალიზაციის მიზნით ქვეყანაში განხორციელებული მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრების მიუხედავად, რაც ცალკეულ პერიოდში მასთან დაკავშირებული ნორმატიული-საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასაც უკავშირდებოდა¹, იგი ქვეყანაში

¹ შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრს შორის თანამშრომლობის შესახებ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. 30 იანვარი, 2014 წელი; საქართველოს მთავრობის დადგენილება N352 „მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ფორმირების და ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე“. საქართველოს მთავრობა, 17 ივლისი, 2015 წელი; საქართველოს მთავრობის დადგენილება N622 „საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“. საქართველოს მთავრობა, 18 დეკემბერი, 2015 წელი; საქართველოს კანონი N3418 „შრომითი მიგრაციის შესახებ“.

დღემდე ძალზე სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, რაც საგრძნობ გავლენას ახდენს ქვეყნის შრომითი პოტენციალის ეფექტიან გამოყენებასა და საერთოდ ეკონომიკური განვითარების დონესა და დინამიკაზე. პრობლემამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი თანამედროვე გლობალური პროცესების განვითარების, კორონა-ვირუსით გამოწვეული გლობალური პანდემიის პირობებში მიიღო. ამ უკანასკნელმა კი საფუძვლიანად შეცვალა მიგრაციული ნაკადების სტრუქტურა და მთლიანად აღნიშნულ მოვლენას ახალი სოციალურ-ეკონომიკური შინაარსი და დანიშნულება შესძინა.

შრომით მიგრაციას, როგორც მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას, აღნიშნულ უარყოფით მხარეებთან ერთად, გარკვეული დადებითი მომენტებიც გააჩნია, ამიტომ მისი როლი, მნიშვნელობის, ხასიათის მხოლოდ ცალმხრივი, უარყოფითი შეფასება არასწორი იქნებოდა. როგორც პროფესორი მ.ტუხაშვილი აღნიშნავს, „შრომით მიგრაციას, როგორც იმიგრაციის, ისე ემიგრაციის ქვეყნებისათვის ბევრ მისთვის დამახასიათებელ უარყოფით მხარეებთან ერთად, უფრო მეტი დადებითი შედეგი აქვს“ [ტუხაშვილი, 1998:113]. კერძოდ, ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ემიგრანტთა ფულადი გზავნილები, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის ამაღლებას, მთლიანი სამამულო პროდუქტისა და ფულადი მასის ზრდას, დანაზოგებისა და მოხმარების ზომის გადიდებას, ასტიმულირებს ინვესტიციებს და დადებითად ზემოქმედებს საერთო ეკონომიკური განვითარების პროცესზე. სწორედ აღნიშნულის გამო, საქართველოს მთავრობის შესაბამის დადგენილებაში წარმოდგენილია საყურადღებო დასკვნა, რომლის მიხედვითაც ფაქტობრივად გამოკვეთილია შრომითი მიგრაციის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები და შეფასება ეძლევა მის როლს ქვეყანაში სიღარიბის მასშტაბების შემცირებასა და საერთოდ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში. კერძოდ, აღნიშ-

საქართველოს პარლამენტი, 05 ივლისი, 2018 წელი. საქართველოს მთავრობის დადგენილება N810 „საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“. საქართველოს მთავრობა, 30 დეკემბერი, 2020 წელი. სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, www.matsne.gov.ge

ნულია რომ „შრომითი მიგრანტების უმრავლესობა საზღვარგარეთ არალეგალურად, არასპეციალობით, დაბალკვალიფიციურ და დაბალანაზღაურებად სამუშაოებზე დასაქმებული. ამის მიუხედავად, შრომით მიგრანტთა ფულადი და სხვა სახის გზავნილების გარეშე სიღარიბის მაჩვენებელი ქვეყანაში არსებულზე ბევრად მაღალი იქნებოდან [დადგენილება N199, 2013]. ანუ თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ფულადი გზავნილები ოჯახთა შემოსავლების ერთ-ერთ სტაბილურ წყაროდ რჩება. საქართველოში ემიგრანტთა ფულადი გზავნილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2013 წლის შემდეგ (1477.1 მლნ აშშ დოლარი) 2018, 2019 და 2020 წელს დაფიქსირდა და მისმა ოდენობამ შესაბამისად 1 მლრდ 577 მლნ, 1 მლრდ 733 მლნ და 1 მლრდ 886 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში შემოსული უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობას შესაბამისად 20.9%, 32.2% და 67.2%-ით აღემატებოდა. 2019 წელს, წინა წელთან შედარებით, ფულადი გზავნილების საერთო ოდენობა გაზრდილია 153.6 მლნ აშშ დოლარით, ანუ 9.7%-ით, რაც ძირითადად იტალიიდან, ისრაელიდან, საბერძნეთიდან და აშშ-დან ფულადი გზავნილების ზრდამ განაპირობა. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციიდან ფულად ნაკადებს, მას საერთო გზავნილებში ყველაზე მაღალი წილი უკავია, თუმცა 2020 წლის დეკემბრის თვესთან შედარებით მისი ოდენობა 2021 წლის იანვარში 5.8%-ითაა შემცირებული. ბოლო ორი წლის განმავლობაში (2019-2020 წლები) ემიგრანტების ფულადი გზავნილების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში საშუალოდ 9%-10%-ის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებაში მისი წილი საშუალოდ 39% იყო [www.geostat.ge; www.nbg.gov.ge].

წარმოდგენილი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ შრომითი მიგრაციის პრობლემა ქვეყნისათვის მიმდინარე გლობალური პანდემიის პირობებში კიდევ უფრო პრიორიტეტული და სპეციფიკური გახდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ მისთვის დამახასიათებელი შემდეგი ძირითადი პრობლემები, სპეციფიკური თავისებურებები და ტენდენციები:

- ✓ საქართველოს შრომის ბაზრის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს შრომითი მიგრაციის მაღალი დონე და

მასშტაბები, რომელიც საგრძნობ გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებასა და შრომითი პოტენციალის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე;

- ✓ მსოფლიო ბანკის ექსპერტების შეფასებით, საქართველოში ემიგრაციის დონე, მასშტაბები მოსახლეობის რიცხოვნობასთან მიმართებაში საკმაოდ მაღალია და 25%-ს აღემატება. ემიგრანტების მაღალი წილით გამოირჩევა ქვეყნის დედაქალაქი- თბილისი, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები;
- ✓ ბოლო პერიოდში შრომით მიგრანტთა ყველაზე მაღალი ნაკადები ფიქსირდება რუსეთის ფედერაციაში, საბერძნეთში, იტალიაში, აშშ-ში, თურქეთში, გერმანიაში, ისრაელში, ესპანეთში;
- ✓ ემიგრანტების საერთო რაოდენობაში საკმაოდ მაღალია უმაღლესი განათლების მქონე პირების წილი (საშუალოდ 34%-35%), რაც 5%-6%-ით აღემატება ქვეყანაში მუდმივად მცხოვრებ მოსახლეობაში 10 წელზე უფროსი ასაკის პირებში განათლების შესაბამისი ხარისხის მქონე პირთა წილს;
- ✓ შრომით მიგრაციის მასშტაბებზე სხვადასხვა ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ფსიქოლოგიური ფაქტორი ზემოქმედებს. საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარებიდან და ეკონომიკური განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, მიმდინარე ეტაპზე ქვეყნის მოსახლეობის შრომით ემიგრაციაზე უპირატესად ზემოქმედების თვალსაზრისით შემდეგი ძირითადი ფაქტორები უნდა გამოიყოს: ქვეყანაში არსებული სამუშაო ადგილების დეფიციტი, ქრონიკული უმუშევრობა, არაეფექტიანი დასაქმება, შრომის ანაზღაურებისა და საერთოდ შემოსავლების დაბალი დონე, შრომის არაკეთილსასურველი პირობები, შესაბამისად შრომითი ცხოვრების ხარისხისა და ცხოვრების დაბალი დონე;
- ✓ შრომითი მიგრაციის სფეროში არსებული პრობლემის სიმწვავის მიუხედავად, სათანადო დონეზე ვერ ხორციელდება მისი რეგულირება და კონტროლი;
- ✓ შრომითი მიგრაციის პრობლემამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი თანამედროვე გლობალური პროცესების განვითარებაში;

რების, კორონავირუსით გამოწვეული გლობალური პანდემიის პირობებში მიიღო. ამ უკანასკნელმა კი საფუძვლიანად შეცვალა მიგრაციული ნაკადების სტრუქტურა და მას ფაქტობრივად ახალი სოციალურ-ეკონომიკური შინაარსი და დანიშნულება შესძინა. კერძოდ, გართულდა სამუშაო ძალის გადაადგილება, მობილობა საერთაშორისო და ქვეყნის შიგნით ფუნქციონირებად შრომის ბაზრებზე. არასტანდარტულმა გარემომ არსებითი ზეგავლენა მოახდინა თვით პიროვნებათა ქცევის თავისებურებებზე, ხასიათზე;

- ✓ შრომითი მიგრაციას, როგორც მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენას, უარყოფით მხარეებთან ერთად, გარკვეული დადებითი ასპექტებიც გააჩნია. კერძოდ, მიმდინარე გლობალური კრიზისის პირობებში ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებაზე არსებით ზეგავლენას ახდენს მიგრანტთა ფულადი გზავნილები. კერძოდ, იგი ხელს უწყობს მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის ამაღლებას, მთლიანი შიდა პროდუქტისა და ფულადი მასის ზრდას, დანაზოგებისა და მოხმარების ზომის გადიდებას, ასტიმულირებს როგორც მოხმარებას, ასევე ინვესტირებას, რაც შესაბამისად დადებით ასახვას პოულობს ეკონომიკური განვითარების საერთო პროცესში. ასევე მნიშვნელოვანია მისი როლი ქვეყნაში სიღარიბის მასშტაბების შემცირებასა და საერთოდ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში, სოციალური დაძაბულობის ხარისხის შემცირებაში;
- ✓ შრომითი მიგრაციის სფეროში არსებული პრობლემების დაძლევის მიზნით აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად სათანადო ყურადღება მიექცეს სოციალური უსაფრთხოების და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვას. საბოლოო ჯამში კი უმუშევრობის შემცირება, ეფექტიანი დასაქმების მიღწევა, ღირსეული შრომის პირობებით უზრუნველყოფა, მოსახლეობისათვის ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების, ჯანდაცვისა და საბაზისო სოციალური უზრუნველყოფის სისტემების ფორმირება უნდა გახდეს მიგრაციული ნაკადების ნორმალიზაციის საფუძველი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არჩვაძე ი. შრომითი მიგრაციის გავლენა შრომის ბაზრის მდგომარეობის მახასიათებელ ინდიკატორებზე. მიგრაცია N6, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, „უნივერსალი“, 2013.
2. არჩვაძე ი. შრომითი მიგრანტების მიერ თანხების რეპატრიაციისა და მასშტაბების შესახებ. მოსახლეობის მიგრაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში. კოლექტიური მონოგრაფია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „ზენაარი“. თბილისი, 2018
3. ბუნტური გ. საქართველოს მიგრაციული პორტრეტი 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2017
4. ზუბიაშვილი თ. მიგრაციული პროცესები საქართველოში სსრკ დაშლის წინა პერიოდში, მიგრაცია N4, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიგრაციის კვლევის ცენტრი, „უნივერსალი“, თბილისი, 2010
5. ზუბიაშვილი თ. საერთაშორისო შრომითი მიგრაცია გლობალიზაციის ეპოქაში. მოსახლეობის მიგრაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში. კოლექტიური მონოგრაფია. თავი 7. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „ზენაარი“. თბილისი, 2018
6. ილია II, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. საკვირობო ქადაგება. ჟურნალი „საპატრიარქოს უწყებანი“ N11, 711, 20-26 მარტი, 2014
7. ილია II, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. ჟურნალი „საპატრიარქოს უწყებანი“ N37(826), 1-6 დეკემბერი, 2016
8. პაპავა ვ. თუ ეკონომიკური ზრდაა, სად გარბის მოსახლეობა?!. <http://bfm.ge/lado-papava-tu-ekonomikuri-zrdaa-sad-garbis-mosakhleoba/>, ნანახია 05.2019
9. პაპავა ვ., ჭარაია ვ. კორონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა. ექსპერტის აზრი. N136. საქართველოს სტატისტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2020
10. პაპავა ვ. კორონომიკა და ეკონომიკა კრიზისის წინაშე. 21.03.2020. <https://for.ge/view/182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html>;
11. სულაბერიძე ა. მიგრაციის სტატისტიკური აღრიცხვის მეთოდოლოგიური პრობლემები და მისი შედეგი საქართველოში. ჟურნალი „მიგრაცია“, N8. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

- სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიგრაციის კვლევის ცენტრი. თბილისი, „უნივერსალი“, თბილისი, 2017
12. სულაბერიძე ა. მოსახლეობის მიგრაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში. კოლექტიური მონოგრაფია. შესავალი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „ზენაარი“. თბილისი, 2018
 13. სილაგაძე ა., ათანელიშვილი თ., სილაგაძე ნ. პოსტსაბჭოური მიგრაციისა და უმუშევრობის ზოგიერთი ტენდენცია. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. ტ.14. N1. 2020
 14. ტუხაშვილი მ. „აუცილებელია საქართველოს შრომის ბაზრისა და მიგრაციის კომპლექსური შესწავლა“, ჟურნალი „მიგრაცია“ N2, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიგრაციის კვლევის ცენტრი, თბილისი, „უნივერსალი“, 2008
 15. ტუხაშვილი მ. საქართველოს შრომითი პოტენციალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998
 16. შელია მ. ქალთა შრომითი ემიგრაცია საქართველოდან. ჟურნალი „მიგრაცია“ N8. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიგრაციის კვლევის ცენტრი, თბილისი, „უნივერსალი“, 2017
 17. შელია მ. საქართველოს ქალთა შრომითი ემიგრაციის თავისებურებანი. მოსახლეობის მიგრაციის აქტუალური პრობლემები საქართველოში. კოლექტიური მონოგრაფია. თავი 3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი. გამომცემლობა „ზენაარი“. თბილისი, 2018
 18. შენგელია თ. გლობალური ეკონომიკური რეცესია და საქართველოს პოსტვირუსული განვითარება. რეფერირებადი და რეცენზირებადი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, “Economics and Business”, ტომი 12, N2, 2020წ. <http://eb.tsu.ge/?cat=numer&leng=ge>
 19. ნულაძე გ., ნიკლაური შ. „გარე მიგრაცია-საქართველოს მოსახლეობის ფორმირების კომპონენტი (1960-2035წ.)“, მიგრაცია N2, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, „უნივერსალი“, 2008
 20. ჭელიძე ნ. დაბრუნებულ მიგრანტთა სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაცია საქართველოში. ჟურნალი „მიგრაცია“ N7. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიგრაციის კვლევის ცენტრი. თბილისი, „უნივერსალი“, 2016.
 21. ჭელიძე ნ. საქართველოს მოსახლეობის გარე შრომითი მიგრაცია, თსუ, „ცოდნის წყარო“, 2000.

22. ჯიბუტი მ. პოლიტიკონომიის ვირუსული ვარიაციები. რეფერირებადი და რეცენზირებადი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, “Economics and Business” ტომი 12, N2, 2020 გვ.37. <http://eb.tsu.ge/?cat=numer&leng=ge>
23. შაკერტი რაღვ, სუმბაძე ნანა. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების ანალიზი გენდერულ ჭრილში. 1.- Gender_GEO_print-F_0.pdf (geostat.ge)
24. შაკერტი რაღვ. მოსახლეობის დინამიკა საქართველოში. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა. 3. Population Dynamics _GEO-Print_F.pdf (census.ge);
25. Kharaiashvili E., Natsvlishvili I. Impact of International Educational Migration In The Context Of Globalization Of Higher Education (Case Of Georgia). https://iated.org/concrete3/paper_detail.php?paper_id=73405. 2019. ISBN: 978-84-09-12031-4.
26. Tukhashvili M., Latsabidze N., Lobzhanidze M., Shelia M. Emigration Intentions of Students of Higher Education Institutions of Georgia (Examples From Ivane Javakhishvili Tbilisi State University). European Journal of Humanities and Social Sciences. Scientific journal. Vienna. Premier Publishing. №3, 2018. p.132-140. ISSN 2414-2344. <https://ppublishing.org/journals/769/>
27. Tukhashvili. M., Shelia M. The impact of labor emigration on the demographic and economic development of Georgia in the post-Soviet period. 2012. <http://www.carim-east.eu/media/CARIM-East-2012-RR-29.pdf>
28. Shelia, M. Employers Demand on Labour Force in Georgia s Big Cities. Interdisciplinary Perspectives on Social Sciences. Cambridge Scholars Publishing, 2014/UK
29. Shelia M. Reproductive Behavior of Students in Georgia. Демографія та соціальна економіка, 2018. №2(33); http://dse.org.ua/archive/33/33_7en.html;
30. Кутелия Б.Н., Меладзе Г.Г., Цуладзе Г.Е. Эмиграция из Грузии в постсоветский период //Социологический журнал. 1997. № 4. с.186-191. Эмиграция из Грузии в постсоветский период //Социологический журнал (fnisc.ru);
31. Меладзе Г.Г., Кутелия Б.Н. Внешняя миграция в Грузии, 1996–2001 годы. Xreferat.ru;
32. Царцидзе М. Лацабидзе Н. Структурные и отраслевые особенности рынка труда и занятости населения в Грузии. Structural and sectoral features of the labor market and employment in the Georgia. Social and labor research. 2020; 38(1):153-163. DOI: 10.34022/2658-3712-2020-38-1-153-163. “Социально-трудовые исследования”. Научно-практический журнал. с.153-163. <https://www.vcot.info/magazine>

საკანონმდებლო-ნორმატიული აქტები

1. შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრს შორის თანამშრომლობის შესახებ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. 30.01.2014. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge
2. საქართველოს მთავრობის დადგენილება N352 „მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ფორმირების და ადმინისტრირების ნების დამტკიცების თაობაზე“. საქართველოს მთავრობა, 17.07.2015. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება N622 „საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“. საქართველოს მთავრობა, 18.12.2015. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge
4. საქართველოს კანონი N3418 „შრომითი მიგრაციის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 05.07.2018. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge
5. საქართველოს მთავრობის დადგენილება N810 „საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“. საქართველოს მთავრობა, 30.12.2020. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge
6. საქართველოს მთავრობის დადგენილება №199 „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, 02.08.2013. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge;

საქართველოს ეროვნული ბანკი. www.nbg.ge.

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის სიღრმისეული ანალიზი, www.geostat.ge

Murman Tsartsidze

Doctor of Economics

Associate Professor Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Economics and Business

Natela Latsabidze

PhD in Economics, Ivane Javakhishvili Tbilisi State University Head of the

Department of Personnel Management,

Peculiarities of Labor Migration in the Current Global Crisis in Georgia (Abstract)

In the context of the global pandemic crisis, when it became difficult to ensure the stable economic development of the country and the improvement of the living standards of the population, specifically, the research of problems related to labour emigration acquired more urgency in migration processes. Labour emigration is a socio-economic phenomenon of a global nature and it become a significant challenge for Georgia during several decades. In scientific publications on migration, it is always emphasized that high levels and scale of labour emigration in addition to the negative consequences it also has some positive impact on the country's economy, which firstly reflected in the income and living standards of the population on the depth and scale of poverty.

In the paper is analysed the peculiarities of labour emigration in Georgia, causes and factors affecting the current global pandemic. The research identifies those key factors, which at the current stage, are stimulating the growth of labour emigration. Evaluated for this event positive and negative sides.

Based on the results of the research, the paper concludes the main conclusions and recommendations, whose implementation in the near future will contribute to the effective regulation of migration processes, improving the quality of working life and ultimately raising the living standards of the population.

Key words: *Labour market, labour migration, emigration, global crisis, economic development.*

ჰერეთის მოსახლეობა: დინამიკა და ეთნოსტრუქტურა

საქართველოს ისტორიული პროვინცია ჰერეთიდან ჩვენი ქვეყნის ფარგლებში შემორჩენილია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორია. იგი საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და ერთდროულად ესაზღვრება რუსეთის ფედერაციასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას. აქვს უაღრესად სტრატეგიული მდებარეობა. კლიმატური, ბუნებრივი პირობებით კახეთის სხვა რეგიონებისაგან მკვეთრად განსხვავდება. სუბტროპიკული ჰავა ბევრად განაპირობებს მის მეურნეობრივი დივერსიფიკაციის თავისებურებებს.

ამ რეგიონის მოსახლეობის ფორმირება, ძირითადად, მოხდა ბოლო ორი საუკუნის მანძილზე რეგიონგარედან მოსახლეობის ჩამოსახლებით, რაშიც დიდი წილი აქვს ორგანიზებულ ჩასახლებებს. იგი პერმანენტულად მიმდინარეობდა რუსეთის იმპერიაში ყოფნის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა საქართველოს და პოსტსაბჭოთა საქართველოს პერიოდებში.

სტატია, ძირითადად, ეყრდნობა სტატისტიკურ კრებულს - „კავკასიური კალენდარი“, რომელიც თბილისში ყოველწლიურად გამოიცემოდა 1845-1917 წლებში, აგრეთვე, მოსახლეობის საყოველთაო აღწერების მასალებს. მოსახლეობის შესახებ სხვა წყაროებიც არსებობს, რომელსაც აუცილებლად გამოვიყენებთ მომავალში მოსახლეობის რეგიონული კვლევების გასაღრმავებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზღვრები ემთხვევა ზემოთაღნიშნულ წყაროებში მოცემულ სიღნაღის მაზრის „ალაზანგალმა საპოლიციო უბნის“ ტერიტორიას, რაც კარგი შედარების საშუალებას იძლევა. კერძოდ, ადმინისტრაციული გარდაქმნების მიუხედავად, რეგიონის საზღვრები არსებითად არ შეცვლილა. ეს აადვილებს შედარებით

ანალიზს. თუმცა, არცთუ ცოტაა ტოპონიმთა, დასახლებულ პუნქტთა სახელწოდების ცვლილებანი, რაც მასალის გადმოცემისას გათვალისწინებულია.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ საუკუნეთა მანძილზე რუსეთის ექსპანსიურ პოლიტიკაში არსებითი ადგილი უკავია კოლონიზაციის პოლიტიკას. ცნობილ მკვლევრებს იგი მიაჩნიათ რუსეთის სახელმწიფოს უმთავრეს საყრდენად. მაგალითად, ცნობილი ისტორიკოსი ვ.კლიუჩევსკი თვლიდა, რომ „რუსეთის ისტორია - ესაა განუწყვეტლად კოლონიზებადი ქვეყნის ისტორია“[7].

საქართველოს რუსეთთან მიერთების პერიოდში მრავალი შემოსევისა და განუწყვეტელი რბევის გამო განსახილავი რეგიონი გაუკაცრიელებული იყო და მთელი მე-19 საუკუნის პირველი ნახევარი (შამილის დატყვევებამდე) აქ დასახლება და დამკვიდრება არახელსაყრელ ვითარებაში მიმდინარეობდა. 1831 წელს დაარსდა რუსული სამხედრო ქალაქი ლაგოდეხი. 1850-იანი წლების ბოლოს გაჩნდა მნიშვნელოვანი სამოქალაქო დასახლებანიც, ძირითადად, რუსი მოსახლეობით. ამავე პერიოდს ეკუთვნის პოლონელთა დასახლების შექმნაც, პოლონეთის ტერიტორიიდან მეამბოხე მოსახლეობის გადმონაწილება. თუ ქრონოლოგიურად გავუყვებით „კავკასიურ კალენდარს“, ჩანს, რომ ლაგოდეხის რეგიონის ტერიტორია პერმანენტულად იღებდა ახალმოსახლეთა ჯგუფებს, რომლებიც, ძირითადად, ორგანიზებული ჩასახლებებით სწრაფად ზრდიან საკვლევ რეგიონის მოსახლეობას. ამ მხარეში, პირველ რიგში, აღსანიშნავია რუსი მოსახლეობის ჩამოსახლება.

ამასთან ერთად, რუსეთის იმპერია თავის კოლონიურ პოლიტიკაში დიდ ყურადღებას უთმობდა დაპყრობილ ტერიტორიებზე ტახტის ერთგული სხვა ეროვნებების ჩასახლებასაც. ამ მხრივ, დიდ როლს ანიჭებდნენ სომხების, ოსების ჩასახლებას. მაგალითად, ლაგოდეხის სიახლოვეს მრავალი პატარა ოსური სოფელი გაჩნდა, ქალაქად კი სომეხი მოსახლეობის ჩასახლებას შეენყო ხელი.

სავსებით ბუნებრივია, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოფხიზლებული ქართველი საზოგადოება გააქტიურდა მის ისტორიულად კუთვნილ გაუკაცრიელებულ მიწაზე ქართულ სოფელთა აღდგენა-დასახლებითაც. ქართველთა ჩასახ-

ლების აუცილებლობას კარგად ხედავდა ილია ჭავჭავაძე და სათავადაზნაურო ბანკის ხელმძღვანელობა. ამ მხარეში დაინყო საქართველოს სხვადასხვა უმინო რეგიონებიდან მოსახლეობის გადმოსვლის პროცესი, მათ შორის, ნაწილობრივ, შიგნით კახეთიდანაც. 1917 წლის „კავკასიური კალენდრით“, ალაზანგალმა საპოლიციო უბნის ტერიტორიაზე უკვე ფორმირებულია განსახლების ამჟამინდელი სისტემის კარკასი (ცხრილი 1).

უნდა ითქვას, რომ გარდა რუსულისა, თითქმის ყველა დანარჩენი ტოპონიმი დღემდე შემორჩენილია. აღარაა სახელწოდებები: გრაფოვკა, დაშკოვკა, ივანოვკა, ილარიონოვკა, ნოვოვორონცოვკა და ა.შ. ამჟამად დასახლებული პუნქტების რაოდენობა ორჯერ მეტია (68 დასახლება, ნაცვლად 34 დასახლები 1917 წელს).

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ამჟამინდელ ტერიტორიაზე ჩასახლების ინტენსიურობა გაიზარდა ე.წ. სტოლიპინის რეფორმების პერიოდში (1906-1917წწ). იგი აღიარებულია კოლონიზაციის არნახული მასშტაბის პერიოდად. რეფორმების პერიოდს მიეკუთვნება რეგიონის მოსახლეობის მიგრაციით ზრდა და ქართველი, ოსი, აზერბაიჯანელი, რუსი მოსახლეობის სწრაფი მატება.

მეორე მსოფლიო ომამდე საბჭოთა პერიოდში კი უფრო მაღალი ინტენსივობით გაგრძელდა რუსი და ქართველი მოსახლეობის ორგანიზებული მიგრაცია. რასაკვირველია, ცალკე უნდა გამოიყოს აზერბაიჯანელი და გააზერბაიჯანებული მოსახლეობის მატება, რამაც ბოლო ხანს მუნიციპალიტეტის მთელი მოსახლეობის თითქმის მეოთხედს მიაღწია.

საბჭოთა პერიოდში (1926-1989წწ.) როგორც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მთელი მოსახლეობა, ისე ქართველი მოსახლეობის რიცხოვნობა 1,7-ჯერ გაიზარდა. აზერბაიჯანელმა მოსახლეობამ 5-ჯერ იმატა, ოსები და რუსები კი რიცხობრივად ფაქტობრივად იგივე დარჩნენ, მცირედით შემცირდა სომხობა.

**ცხრილი 1. სილნალის მაზრის ალაზანგალმა საპოლიციო უბნის
სოფლები თემების მიხედვით, 1917წ.**

(ცენტრი დასახლება ნოვო-მიხაილოვკა)

კართუბნის თემი	ლელიანის თემი	ნოვო-ვორონცოვკის თემი
ბაისუბანი	აფენი	გრაფოვკა
ბოლოკიანი	არემფერანი	დაშკოვკა
ყარსუბანი	ბალდადი	ივანოვკა
კართუბანი	ბალთა	ილარიონოვკა
მსხალგორა	ზემო ბოლქვი	ნოვო-ვორონცოვკა
პატარა გორა	ზემო ვერხვის მინდორი	ლაგოდეხი
ფონა	კალკვა	
თელა	ქვემო ბოლქვი	
ხეჩილი	ქვეხიანი	
ეშმაკის ყურე	ლაფიანი 1	
	ლაფიანი 2	
	მირსკისეული	
	ნამოვარი	
	ონანაური	
	პატარა ფონა	
	ფიჩხის ბოგირი	
	ხოშატიანი	
	ჭაბუკიანი	

წყარო: Кавказский календар за 1917(Сигнахский уезд).

რაც შეეხება პოსტსაბჭოთა პერიოდს (1989-2014წწ), მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა 1,3-ჯერ, მათ შორის, ქართველი მოსახლეობა - 1,16-ჯერ, სომეხი- 2,76-ჯერ, რუსების და ოსების რიცხვი - 4,5-ჯერ, აზერბაიჯანელები კი იმდენივე დარჩნენ (ცხრილი 2). ზოგადი ტენდენციაა ეთნოსტრუქტურის გარდაქმნა პოლიეთნიკურიდან ბიეთნიკურად.

**ცხრილი 2. ლაგოდების მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დინამიკა
ეროვნული ჯგუფების მიხედვით (1926-2014წწ)**

	მთელი მოსახლეობა		ქართველი		სომეხი		რუსი		აზერბაიჯანელი		ოსი		უკრაინელი		ბერძენი	
	კაცი	%	კაცი	%	კაცი	%	კაცი	%	კაცი	%	კაცი	%	კაცი	%	კაცი	%
1926	31641	100	20355	64,3	1120	3,5	3365	10,6	1900	6,0	4743	15			11	0,03
1939	46546	100	28904	69,1	1188	2,6	7601	16,3	2573	5,5	5521	11,9	182	0,4	40	0,1
1959	48476	100	30665	63,3	1240	2,6	6111	12,6	3998	8,2	5259	10,8	285	0,6	29	0,1
1970	52840	100	33715	63,8	1223	2,3	5297	10,0	6167	11,7	5466	10,3	234	0,4	53	0,1
1979	52844	100	33596	63,6	1138	2,2	4249	8,0	7902	15,0	5084	9,6	247	0,5	44	0,1
1989	54171	100	34684	64	966	1,8	3330	6,1	9683	17,9	4515	8,3	276	0,5	36	0,1
2002	51066	100	35376	69,3	561	1,1	1204	2,4	11392	22,3	2239	4,4	48	0,1	16	0,0
2014	41678	100	29796	71,4	350	0,8	733	1,8	9601	23,0	994	2,4	38	0,2	14	0,0

წყარო: შესაბამისი წლების მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალები. www.geostat.ge

სსრკ-ს შექმნის შემდგომ ლაგოდების რაიონში გრძელდება რუსების ჩამოსახლების პროცესი. 1926-1939 წლებში რუსების რიცხოვნობა გაიზარდა 3,4 ათასიდან 7,6 ათასამდე. ეს 1930-იან წლებში საქართველოში რუსების ჩამოსახლების ინტენსივობის სწრაფი ზრდის შედეგია. უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ეროვნულ უმცირესობათა რიცხოვნობის კლებაზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა სხვადასხვა ეროვნებებს შორის ხანგრძლივი თანაცხოვრების გამო მიმდინარე ინტეგრაციულმა პროცესებმა. იგი გამოიხატა როგორც ბიეთნიკური ქორწინების გავრცელებით, ისე კულტურული სიახლოვის გამო ერთი ეთნოსიდან მეორეში გადასვლით. ლაგოდებში მოხდა არამარტო ძირითად ეროვნებასთან, ქართველებთან ოსებისა და სომხების ზომიერი ასიმილაცია, არამედ ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებულ მთიელთა გააზერბაიჯანელებაც. როგორც ჩანს აქ კონფესიურმა ფაქტორმა თავისი როლი ითამაშა. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა 1930-იან წლებში აზერბაიჯანული სკოლის გახსნასაც და კაბლის თემის დაღესტნური თემების აზერბაიჯანულ ენაზე განათლების მიღებას. ეთნოინტეგრაციული პროცესების მიუხედავად, რეგიონის ეთნოისტრუქტურის ცვლილების მთავარი ფაქტორი მაინც მიგრაციის მაღალი ინტენსიურობა და მეტნაკლებად განსხვავებული ბუნებრივი მატება იყო. საერთოდ კი, რეგიონში ეთნოკულტურული ინტეგრაციული პროცესების მეცნიერული კვლევა უაღრესად საჭირო პრობლემაა. იგი უნდა განახორციელოს სამეცნიერო ჯგუფებმა საერთაშორისო კვლევების გამოცდილებათა გათვალისწინებით.

საქართველოდან მოსახლეობის ემიგრაცია იწყება 1950-იანი წლებიდან. იგი აისახა ლაგოდების რაიონის მოსახლეობაზეც, თუმცა ბუნებრივი ზრდა ამ პერიოდისათვის საკმაოდ მაღალია და ჭარბობს მიგრაციული კლების მაჩვენებელს.

რუსი მოსახლეობის ემიგრაციის ინტენსიურობა თავდაპირველად განპირობებული იყო რუსეთის ფედერაციაში სამუშაო ძალის დეფიციტით და იქ მაღალკვალიფიციური დარგების განვითარების გამო სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდით, საქართველოში უმაღლესდამთავრებული სპეციალისტების დიდი კონცენტრაციით, ზოგადად, რუსეთის ფედერაციაში ცხოვრების პირობების გაუმჯობესებით, პოსტსაბჭოთა პერიოდში კი-

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პირობების, შესაბამისად ცხოვრების დონის კატასტროფული დაცემით, აგრეთვე, რუსული სამხედრო ნაწილების საქართველოდან გასვლით, სახელმწიფო ენის უცოდინარობით (მოსახლეობის 1989 წლის საყოველთაო აღწერით, საქართველოში მცხოვრები რუსების 84%-მა ქართული ენა არ იცოდა). ისიც უნდა ითქვას, რომ ლაგოდების ამჟამინდელი მოსახლეობა, განსაკუთრებით, აქ მცხოვრები რუსი მოსახლეობა მეტად დაბერებულია და დემოგრაფიული ზრდის პერსპექტივა არა აქვს.

ლაგოდების მუნიციპალიტეტიდან, ისევე, როგორც მთელი საქართველოდან ინტენსიურად გავიდა ოსი მოსახლეობა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი წავიდა რუსეთის ფედერაციაში. გასვლა გარკვეულად დააჩქარა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომმა. როგორც ჩანს, ოსი მოსახლეობის ნაწილი თავის პერსპექტივას რუსეთის ფედერაციაში, კერძოდ ჩრდილოეთ ოსეთში ცხოვრებაში ხედავს. ისიც აღსანიშნავია, რომ ლაგოდების მუნიციპალიტეტში რაიმე ეთნოკონფლიქტი არ გამოვლენილა. 2014 წლის აღწერის მონაცემებით აქ სოფლად შემორჩენილია ათასამდე ოსი. მხოლოდ ორ პატარა სოფელში ქმნიან ისინი ნახევარზე მეტს. ისიც აღსანიშნავია, რომ ოსური იდენტობა, ლაგოდების სოფლებში უფრო შემორჩა, ვიდრე საქართველოს სხვა რეგიონებში [5].

პოსტსაბჭოთა პერიოდში სომეხთა გასვლა საქართველოდან განპირობებულია სსრკ დაშლის შემდგომ აქ ცხოვრების დონის მეტისმეტი დაცემით. ძველი სომეხური დიასპორა მსოფლიოს მონინავე ქვეყნებში მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს. ამის გამო, საქართველოსთან შედარებით - ცხოვრების ბევრად უკეთესი პირობების მიღწევა სომეხი ეროვნების ემიგრანტებისთვის ბევრად ადვილია. 2014 წლის აღწერით ლაგოდებში ცხოვრობს 350 სომეხი.

სამუშალო და პატარა სოფლებისაგან განსხვავებით, ლაგოდების მუნიციპალიტეტში გამოირჩევა აზერბაიჯანელებით დასახლებული ოთხი მსხვილი სოფელი: კაბალი, განჯალა, უზუნთალა და ყარაჯალა. ეს სოფლები მდინარე კაბალის ნაპირებზეა გაშენებული და ქმნის მჭიდროდ დასახლებულ მონოეთნიკურ არეალს. აქაა თავმოყრილი მთლიანად მუნიციპალიტეტში მცხოვრები აზერბაიჯანელი ეროვნების მოსახლეობა. მათი ნა-

წილი დალესტნური წარმოშობისაა და შემდგომში კულტურულად გააზერბაიჯანელელებული აზერბაიჯანულ სკოლებში სწავლის გამო. აქ 1932 წელს აზერბაიჯანის ხელისუფლების დაჟინებული თხოვნით აზერბაიჯანული სკოლა გაუხსნიათ. აღსანიშნავია, რომ აქ ცხოვრობენ როგორც სუნიტები (აქ 4 სუნიტური მეჩეთია), ისე შიიტები. აზერბაიჯანელები შეადგენენ ლაგოდების მოსახლეობის 23%-ს და ბოლო ხანებში რიცხოვნობის კლების მიუხედავად, მთელ მოსახლეობაში ხვედრითი წონის ზრდის ტენდენციით ხასიათდებიან. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერით, კაბლის თემის 9252 მცხოვრებიდან მხოლოდ 9 კაცი არ იყო აზერბაიჯანელი. კაბლის თემში თავმოყრილი ლაგოდების მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანელი ეროვნების მოსახლეობის 96,3%.

მთლიანობაში, ჰერეთის მოსახლეობა პოლიეთნიკურიდან ბიეთნიკურ სტრუქტურად ყალიბდება. მსგავსი ტენდენცია ახასიათებს ქვემო ქართლისა და გარე კახეთის რეგიონსაც, სადაც აზერბაიჯანელთა წილი შესაბამისად 41,8% და 33,2%-ია.

ცხრილი 3. ლაგოდების მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ცალკეული თემების მიხედვით, 2014 წ. (კაცი)

	სულ მოსახლეობა	ქართველი	აზერბაიჯანელი	ოსი	რუსი	სომეხი	სხვა
ქ. ლაგოდები	5918	5123	60	43	296	275	121
არეშფერანის თემი	928	551	5	363	3	-	6
არეშფერანი	278	194	1	79	2	-	2
ზემო ბოლქვი	272	108	-	162	-	-	2
ქევზიანი	117	85	-	31	1	-	-
ქვემო ბოლქვი	132	66	-	64	-	-	2
ხომატიანი	129	98	4	27	-	-	-
აფენის თემი	4651	4625	1	11	6	3	5
აფენი	1555	1548	-	4	-	-	3
ბაღდათი	316	309	-	6	-	1	-
გვიმრიანი	246	243	-	-	2	1	-
ზემო ნაშოვარი	360	360	-	-	-	-	-
ონანაური	447	445	1	-	-	-	1

ფოდაანი	730	730	-	-	-	-	-
ქვემო ნაშოვარი	456	453	-	1	1	-	1
ჭაბუკიანი	541	537	-	-	3	1	-
ბაისუბნის თემი	2281	2270	3	5	-	1	2
ბაისუბანი	888	884	3	-	-	1	-
ზემო მსხალგორი	513	513	-	-	-	-	-
პატარა გორი	436	429	-	5	-	-	2
ქვემო მსხალგორი	444	444	-	-	-	-	-
გიორგეთის თემი	992	848	2	137	3	-	2
გიორგეთი	607	580	-	25	1	-	1
გუჯარეთი	27	22	2	3	-	-	-
ვერხვის მინდორი	156	100	-	55	-	-	1
ლაფნიანი	118	81	-	35	2	-	-
ფიჩხისბოგირი	84	65	-	19	-	-	-
ვარდისუბნის თემი	2302	2245	11	7	28	1	10
ვარდისუბანი	1036	1020	6	-	8	-	2
მშვიდობიანი	532	505	1	5	17	-	4
საქობო	504	493	4	-	3	-	4
სვიდება	230	227	-	2	-	1	-
კაბლის თემი	9279	9	9252	-	4	-	14
კაბალი	3238	5	3220	-	1	-	12
განჯალა	2243	2	2239	-	1	-	1
უზუნთალა	1786	2	1784	-	-	-	-
ყარაჯალა	2012	-	2009	-	2	-	1
კართუბნის თემი	3059	3019	4	16	4	-	16
კართუბანი	1802	1783	-	10	-	-	9
ბოლოკიანი	783	778	-	2	2	-	1
ნაენდროვალი	95	86	4	3	1	-	1
ნანისქვილარი	379	372	-	1	1	-	5
ლელიანის თემი	2128	1992	-	127	4	2	3
ლელიანი	578	556	-	21	-	-	1
ბალთა	85	60	-	25	-	-	-

ბებურიანი	480	476	-	2	1		1
მეორე ლელიანი	416	41	-	1	3	-	1
მირსკისეული	377	338	-	37	-	2	-
ნამესრალი	68	28	-	40	-	-	-
ქალქვა	124	123		1	-	-	-
მანიმის თემი	686	670	3	-	9	-	4
მანიმი	618	602	3	-	9	-	4
რაჭისუბანი	68	68	-	-	-	-	-
ნინიგორის თემი	2053	1933	-	45	45	10	20
ნინიგორი	502	478	-	-	22	-	2
განათლება	376	308	-	44	7	-	17
გელათი	205	183	-	-	14	7	1
ზემოგურგენი ანი	444	443	-	-	1	-	-
ქვემოგურგენი ანი	357	356	-	--	-	1	--
ხიზა	75	73	-	1	-	1	--
ხიზაბავრა	94	92	-	-	1	1	-
ფონის თემი	493	130	164	197	-	1	1
ქვემო ფონა	133	32	36	65	-	-	-
ღონა	61	4	45	11	-	1	-
ზემო ფონა	92	30	18	44	-	-	-
ზემო ხეჩილი	47	14	20	13	-	-	-
ქვემო ხეჩილი	160	50	45	64	-	-	1
შრომის თემი	1732	1657	-	19	2	3	17
შრომა	1299	1229	-	16	-	37	17
კავშირი	433	428	-	3	2	-	
ცოდნისკარის თემი	2765	2528	-	5	196	3	33
ცოდნისკარი	632	611	-	-	16	3	2
დავითიანი (სვობოდნოე)	291	96	-	-	165	-	30
თელა	779	773	-	5	-	-	1

შერთება	233	223	-	-	-	-	-
ჩადუნინი	729	714	-	-	15	-	-
ნიფლისწყარო	101	101	-	-	-	-	-
ჭიაურის თემი	2411	2191	72	4	115	-	29
ჭიაური (უღლიანოვკა)	1044	1009	-	4	28	-	3
თამარიანი	694	593	-	-	75	-	26
წითელგორი	164	164	-	-	-	-	-
ჰერეთისკარი	509	425	72	-	12	-	-

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები. www.geostat.ge

ამრიგად, ჰერეთის მოსახლეობის ისტორიულ-დემოგრაფიულ ასპექტში კვლევამ გამოავლინა, რომ მოსახლეობა და განსახლების სისტემა, ძირითადად, ფორმირდა რეგიონში მოსახლეობის ჩასახლების ხარჯზე და ახასიათებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის შემდგომ რუსეთის იმპერიისა და სსრკ განხორციელებული მიგრაციული პოლიტიკის არსებითი ნიშნები. პერიოდების მიხედვით, ჩასახლება მიმდინარეობდა სხვადასხვა ინტენსიურობით და პასუხობდა ამა თუ იმ ეპოქის მთავარ ისტორიულ მომენტებს: ბატონყმობის გაუქმება, სტოლიპინის რეფორმა, დემოკრატიული რესპუბლიკის მიგრაციული პოლიტიკა, სოციალისტური გარდაქმნების ინტენსიფიკაცია, პოსტსაბჭოთა კრიზისი.

სსრკ დაშლის შემდგომ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ეთნოსტრუქტურაში. პოლიეთნიკური რეგიონი თანდათან გადაიქცა ბიეთნიკურ რეგიონად. მოსახლეობის რიცხოვნობის სწრაფი შემცირების ფონზე უფრო მაღალი ტემპით მოიკლო რუსეთის იმპერიის წლებში დიდი ინტენსიურობით ჩასახლებული რუსების, უკრაინელების, პოლონელების, ოსების, სომხების რიცხოვნობამ. აქ ძირითადი როლი ითამაშა რეგიონგარეთ ამ ეთნიკური ჯგუფების ემიგრაციამ, შედარებით ნაკლები - ინტეგრაციულმა პროცესებმა.

საქართველოს სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის განსახლების სისტემა საკმაოდ მონესრიგებული და ეფექტიანია. ამჟამად შეიმჩნევა ორგანიზებულ ჩასახლებათა უპირატესობა. ეკომიგრანტთა ახალ-ახალი

ტალები ბევრ შემთხვევაში, მოსახლეობით შეთხლებულ სოფლებში ხვდება, თუმცა ჩნდება ახალი დასახლებანიც.

ჯერჯერობით, რეგიონის ეკონომიკის დივერსიფიკაცია ნელა მიმდინარეობს. ვინრო სპექტრით დასაქმება და მაღალკვალიფიციური დარგების განვითარების სისუსტე განაპირობებს დასაქმების ვინრო პროფილს. ეს რეგიონიდან მიგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება მე-19-20 სს. ტ.1. 1949. გვ.613-615
2. თოთაძე ა. ოსები საქართველოში: მითი და რეალობა. თბილისი, 2008
3. თოფჩიშვილი რ. ოსები ისტორიულ და თანამედროვე საქართველოში, თბილისი, მნიგნობარი, 2019
4. საქართველოს მოსახლეობის 1897, 1926, 1939, 1959, 1970, 1979, 1989 წლების საყოველთაო აღწერის შედეგები. www.geostat.ge ; <http://www.demoscope.ru/weekly/2021>
5. სორდია გ. ოსები საქართველოში. ЕСМІ-ის სამუშაო მოხსენება #45, სექტემბერი, 2009
6. Кавказский календарь на 1886, 1900, 1907, 1912, 1915, 1917 гг. Тифлиси
7. Ключевский В.О. Русская история. Полный курс лекция вторая. <http://www.biblioteka.ru/ruskiush/2htm>

Mirian Tukhashvili

Professor, I.Javakishvili Tbilisi State University

Population of Hereti: Dynamics and Ethnic Structure

(Abstract)

During the period of the collapse of the USSR, the restoration of Georgia's independence, the deep economic crisis and the catastrophic decline in living standards, intensive emigration processes developed in the country. This had a major impact on the population and ethnic structure of the municipalities that were formed as a result of organized settlement of the population. Lagodekhi Municipality, whose population was multi-ethnic, gradually became a bi-ethnic region, from which the number of Russians, Ossetians, Armenians and their share in the total population declined rapidly in the post-Soviet period due to emigration.

The narrow profile of the region's economy and fewer prospects for effective employment create the preconditions for continued intensive migration outside the region. This will lead to significant changes in the demographic development of Lagodekhi Municipality and will greatly reduce the great strategic importance of the region. It is necessary to pursue the right policy of economic diversification of Lagodekhi Municipality and accelerate the formation of a multi-profile employment structure.

შინაარსი

1. **ირინა მოლოდიკოვა** **3**
მიგრაციული პროცესები პოსტსაბჭოთა სივრცეში:
დაშლიდან COVID-19 პანდემიამდე
2. **ლუდმილა ტიხონოვა, ელენა მასლენკოვა** **26**
ბელარუსის რესპუბლიკის მიგრაციული პოლიტიკა:
ფორმირების კონცეპტუალური საფუძვლები,
გამონვევები და განვითარების ტენდენციები
3. **მარია ტიმოშენკო** **48**
იმიგრაციული პროცესები ბელარუსის რესპუბლიკის
მოსახლეობის 2019 წლის აღწერის მიხედვით
4. **ციური ანთაძე, გიორგი ბუნტური** **59**
საერთაშორისო მიგრაციული პროცესები
საქართველოში კოვიდპანდემიის პირობებში
5. **ავთანდილ სულაბერიძე, ნინო გომელაური,** **77**
ქეთევან ჭანიძე
საქართველოს მოსახლეობის საზღვრისპირა მიგრაციის
სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული
პრობლემები (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მაგალითზე)
6. **გიორგი ბუნტური** **95**
კოვიდ-პანდემია და საერთაშორისო მიგრაციული
პროცესები
7. **მურმან ცარციძე, ნათელა ლაცაბიძე** **111**
შრომითი ემიგრაციის თავისებურებები საქართველოში
მიმდინარე გლობალური კრიზისის პირობებში
8. **მირიან ტუხაშვილი** **132**
ჰერეთის მოსახლეობა: დინამიკა და ეთნოსტრუქტურა

CONTENT

1.	Irina Molodikova	3
	Migration Processes in the Post-Soviet Space: from dissolution to the COVID-19	
2.	Ludmila Tikhonova, Elena Maslenkova	26
	Migration Policy of the Republic of Belarus: Conceptual Foundations of Formation, Challenges and Development Trends	
3.	Maria Timoshenko	48
	Immigration Peculiarities according to the 2019 Census of the Population of the Republic of Belarus	
4.	Tsiuri Antadze, Giorgi Bunturi	59
	International Migration Processes in Georgia under the Conditions of the Covid-Pandemic	
5.	Avtandil Sulaberidze, Nino Gomelaury, Ketevan Tchanidze	77
	Socio-economic and Demographic Problems of Cross-border Migration in Georgia (Case of the Autonomous Republic of Adjara)	
6.	Giorgi Bunturi	95
	Covid-pandemic and International Migration Processes	
7.	Murman Tsartsidze, Natela Iatsabidze	111
	Peculiarities of Labor Migration in the Current Global Crisis in Georgia	
8.	Mirian Tukhashvili	132
	Population of Hereti: Dynamics and Ethnic Structure	

გამოცემაზე მუშაობდნენ:
ნათია დვალი და ნინო ებრალიძე
On publication worked Natia Dvali and Nino Ebralidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობა
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Publishing House

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue,
Tbilisi 0179 Tel +995 (32) 225 04 84, 6284, 6278
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>

